7. იმ პირებს, რომლებიც პედაგოგიურ სამუშაოზე ეწყობიან, უნდა პქონდეთ პედაგოგიური განათლება და წარმოადგინონ დო-კუმენტი პედაგოგიური ინსტიტუტის ან პედაგოგიური სასწავლებ-ლის დამთავრების შესახებ. დაუშვებელია სამუშაოზე მიღება ამ დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

8. მუსიკის ხელმძღვანელები საბავშვო ბალებში ინიშნებიან იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც მიღებული აქვთ სპეციალური მუსიკალური განათლება.

9. განათლების განყოფილებათა ან საწარმოთა (დაწესებულე-ბების) გამგებლობაში მყოფ საბავშვო ბალებში სამუშაოზე მიღება ფორმდება საბავშვო ბალის გამგის ბრძანებით (განკარგულებით), რომელიც გამოიცემა განათლების განყოფილების ან საწარმოს (და-წესებულების) ბრძანების საფუძველზე.

10. მუშაკის მიღებისას საბავშვო ბალის გამგე ვალდებულია:

ა) განუმარტოს მუშაკს მისი უფლება-მოვალეობანი, გააცნოს

შისი სამუშაოს შინაარსი და მოცულობა, შრომის ანაზღაურების პირობები;

ბ) გააცნოს შრომითი შინაგანაწესი, სანიტარიის, ხარისხის წინააღმდეგო, უსაფრთხოების ტექნიკის წესები (ცეცხლფარეშებს, მზარეულებს და სხვებს).

11. იმ პირთ, რომელიც პირველიდ იწყებენ მუშაობას, გაუფორმდებათ შრომის წიგნაკი არა უგვიანეს 5 დღისა სამუშაოზე მიღებიდან.

საბავშვო ბალის მუშაკთა შრომის წიგნაკები ინახება საბავშვო ბალის გამგესთან ფასიანი ღოკუმენტების თანაბრალ.

12. აღმზრდელის, მუსიკალური ხელმძღვანელის, მეურნეობის გამგის, მოანგარიშის სამსახურიდან დათხოვნა (გათავისუფლება) ფორმდება საბავშვო ბალის გამგის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ან საწარმოს (დაწესებულების) აღმინისტრაციის ბრძანების საფუძველზე.

დანარჩენი მუშაკების სამუშაოდან დათხოვნა (გათავისუფლება) ფორმდება საბავშვო ბალის გამგის ბრძანებით.

13. საბავშვო ბალის მუშაკი, რომელიც თავისი სურვილით თავისუფლდება ვალდებულია ამის შესახებ ორი კვირით აღრე გააფრთხილოს საწარმოს ან დაწესებულების აღმდნისტრაცია. ორი კვირის გასვლის შემდეგ აღმინისტრაციას უფლება არ იქნება ანგარიშის გასწორება და იმ პირის გათავისუფლება, ვინც თავისი სურვილით სტოვებს სამუშაოს.

14. გათავისუფლების (დათხოვნის) დღეს საბავშვო ბალის გამგე ვალდებულია მისცეს მუშაკს მისი შრომის წიგნაკი მასში შეტანილი ჩანაწერით გათავისუფლების შესახებ და გაუსწოროს საბოლოო ანგარიში. ამასთან გათავისუფლების (დათხოვნის) მიზეზი ნაჩენები უნდა იქნეს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის ფორმულირებებთან ზუსტი შესაბამისობით ან მოქმედი შრომითი კანონმდებლობის სათანადო მუხლის მითითებით.

III. საბავშვო ბალების აღმინისტრაციისა და მუშაკთა ძირითადი მოვალეობანი

15. საბავშვო ბალის აღმინისტრაცია ვალდებულია:

ა) სწორად დააყენოს მუშაკთა შრომა მათი სპეციალობის, კვალიფიკაციის და მუშაობის გამოიცილების შესაბამისად, განამტკიციოს შრომის დისკიპლინა;

ბ) საბავშვო ბალის თითოეულ მუშაქს მიუჩინოს გარევეული სამუშაო ადგილი და მოწყობილობა, შეუქმნას მუშაობისათვის საკირო პირობები: სისუფთავე შენობაში, ნორმალური ტემპერატურული ტურა;

გ) შეასრულოს შრომის დაცვის კანონები და წესები მტკიცებული დაიცვას დადგენილი სამუშაო და დასვენების დრო, განახორციელოს უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ღონისძიებანი;

დ) მუშაკები უზრუნველყოს მეთოდური და თვალსაჩინო ხელ-საწყობით და მუშაობისათვის საჭირო მასალებით;

ე) შექმნას პირობები საბავშვო ბალის საუკეთესო მუშაკების გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და დანერგვისათვის, დახმარება გაუწიოს დამშებებ მუშაკებს, იზრუნოს მათი კვალიფიციისა და კულტურულ, იდეური-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის;

ვ) აღრიცხოს და გაატაროს ცხოვრებაში საწარმოო თაობირზე მიღებული საქმიანი წინადადებანი, ყოველნაირად წაახალისოს საბავშვო ბალის საუკეთესო მუშაკები და მოახდინოს მათი შრომითი გამოცდილების განხოვადება;

ზ) დაწესებულ ვადებში გასცეს ხელფასი;

თ) თავის დროზე მისცეს შვებულება საბავშვო ბალის ყველა მუშაქს დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, რომელიც შედგენილია აღმინისტრაციის მიერ, შეთანხმებულია პროფორგანიზაციასთან და ხელწერილქვეშ აქვს გამოცხადებული მუშაკებს;

ი) განამტკიცოს შრომის დისკიპლინა და განახორციელოს ერთმშართველობა.

16. საბავშვო ბალის მუშაკები ვალდებული არიან:

ა) იმუშაონ კეთილსინდისიერად და მიაღწიონ მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს მუშაობაში;

ბ) დაიცვან შრომის დისკიპლინა და შეასრულონ შრომითი შინაგანაწესი, დროულად გამოცხადნენ სამუშაოზე. ზუსტად, ყოველგვარი დარღვევის გარეშე დაიცვან სამუშაო დღის ხანგრძლიობა, არ იყონ დაქაფებული სხვა საქმით, ლაპარაკითა და ხელი არ შეუშალონ დანარჩენ მუშაკებს;

გ) თავის დროზე, ზუსტად და გულმოდგინედ შეასრულონ აღმინისტრაციის განკარგულებანი;

დ) დაიცვან სოციალისტური საკუთრება; საბავშვო ბალის მოწყობილობა, ხელსაწყობი და სხვა ქონება;

ე) დაიცვან სისუფთავე საბავშვო ბალში, არ დაარღვიონ სანიტარიისა და ხანძარსაჭინააღმდეგო წესები, რაც სათანადო ინსტრუქციებითაა გათვალისწინებული; იცოდნენ ცეცხლსაქრიფსაკონკრეტული გებლობა;

ვ) ყოველთვის ყურადღებიანი იყვნენ ბავშვებისადმი და ზრდილობიანი კოლექტივის წევრებთან და შრობლებთან.

17. საბავშვო ბალის მუშაკები სისტემატურად, იმაღლებენ თვიანთ კვალიფიკაციას პედაგოგიურ თაბირებზე დასწრებით, მეთოდურთანანებებში მუშაობით, დახელოვნების კურსების გავლით და სხვა ღონისძიებებით.

საბავშვო ბალის პერსონალი ვალდებულია სისტემატურად გაიაროს საექიმო შემოწმება.

18. გამგე არის საბავშვო ბალის ხელმძღვანელი და მთელ მუშაობას აორგანიზებს საბავშვო ბალის წესდების შესაბამისად, პასუხისმგებელია ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, სათანადო პირობების შექმნისათვის ბავშვთა ნორმალური ფიზიკური განვითარების უზრუნველსაყოფად (ავეჯი ბავშვთა სიმაღლის მიხედვით, ფიზულტურის ხელსაწყოები, სათამაშოები და სხვა მოწყობილობა, ძილის ორგანიზაცია, სრულფასოვანი კვება) აღმზრდელობითი მუშაობის სწორი დაყენებისა და კადრებთან მეთოდური მუშაობისათვის, რეჟიმისა და შრომითი შინაგანაწესის დაცვისათვის.

საბავშვო ბალის გამგე:

ა) პასუხისმგებელია ბავშვებით ბალის დაკომპლექტებისა და დაწესებულ ვადებში თავისუფალი იდგილების შევსებისათვის ბავშვთა კონტინგენტის გეგმის შესაბამისად.

ბ) თითოეულ აღმზრდელს მიუჩენს გარევეულ ასაკობრივ ჯგუფს იმ ვარაუდით, რომ ამ ჯგუფთან ის იმუშავებს ბავშვების სკოლაში გადასვლამდე.

გ) ოორგანიზებს და პირადად ამოწმებს აღმზრდელთა და საბავშვო ბალის სხვა მუშაკთა მუშაობასა და მათი გეგმების შესრულებას;

დ) უზრუნველყოფს პირობებს გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გასატარებლად, საბავშვო ბალის კეთილმოწყობა, გამწვენება, ნაკვეთის დამუშავება, ბავშვების გადაყვანა აგარაკზე, გამაჯანსაღებელი პროცედურები;

ე) ოორგანიზებს მშობელთა შორის მუშაობას ოჯაში ბავშვ-



თა აღზრდის საკითხებზე, მშობელთა აქტივს იზიდავს საბავშვო ბალის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის;

ვ) უზრუნველყოფს საბავშვო ბალის მეურნეობისა და საქმის წარმოების სწორად დაყენებას;

ზ) აღვენს საბავშვო ბალის მუშაობის წლიურ გეგმას, წლიურ ანგარიშს და უდგენს განათლების განყოფილებას. აღვენს პერსონალის მუშაობის საერთო გრაფიკს და ამოწმებს მის შესრულებას. გამგის სამუშაო დღე არანორმირებულია. საბავშვო ბალის გამგის მორიგი შვებულების ხანგრძლიობა 36 სამუშაო დღეა, განსაკუთრებული რეეიმის საბავშვო ბალებში (ბავშვთაოვის ტუბერკულოზური ინტოქსიკაციით, ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა) 48 სამუშაო დღე.

19. საბავშვო ბალის აღმზრდელი:

ა) პირადად აგებს პასუხს თითოეული ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, თავისი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა აღზრდასა და სწავლაზე საბავშვო ბალის წესდებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად;

ბ) თვალყურს ადევნებს თავისი ჯგუფის ბავშვთა დასწრებას საბავშვო ბალში, თავის დროზე აცნობებს საბავშვო ბალის გამგეს ბავშვის გამოუტანდებლობის შესახებ;

გ) ასრულებს ექიმის მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებასთან, უკვირდება ბავშვთა მდგომარეობას მეცადინეობის, თამაშისა და დღის ძილის დროს და ექიმს აწვდის საჭირო ცნობებს;

დ) ამ ჯგუფის მეორე აღმზრდელთან ერთად აღვენს მუშაობის გეგმასა და ანგარიშს;

ე) ვალდებულია გულმოდგინედ მოემზადოს მეცადინეობისათვის, ორგანიზებულად გადასცეს ბავშვები მის შემცველ აღმზრდელს; პასუხს აგებს სასწავლო ნივთებისა, ხელსაწყოებისა და ჯგუფის მთელი ქონების დაცვა-შენახვაზე, ბავშვების დღის ძილის პროცესში აღმზრდელი იმყოფება საძინებელ ოთახში და თვალყურს ადგნებს ბავშვების მდგომარეობას;

ვ) ატარებს მშობლებთან მუშაობას საბავშვო ბალსა და ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებზე;

ზ) მონაწილეობს პედაგოგიური თათბირების მუშაობაში და აღმზრდელთა მეთოდურ გაერთიანებაში (საქალაქო ან რაიონული).

20. აღმზრდელის სამუშაო დრო დღეში განისაზღვრება 6 საათით, აღმზრდელის მორიგი შვებულების ხანგრძლიობაა—36 სა-

მუშაო დღე, განსაკუთრებული რეზიმის საბავშვო ბალებში—48
სამუშაო დღე.

21. საბავშვო ბალის მუსიკის ხელმძღვანელი ახორციელებს ბავშვთა მუსიკალურ აღზრდას საბავშვო ბალის წესდებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამულ-მეთოდურ მითითებათა შესაბამისად. მუსიკალური ხელმძღვანელი მუშაობს საბავშვო ბალის თითოეულ ასაკობრივ ჯგუფთან კვირაში 6 საათს იმ მუშაობის ჩათვლით, რომელსაც ის ატარებს ბავშვებთან და აღმზრდელებთან. აგრეთვე გართობის საღამოების მოწყობისა და დღესასწაულების დროს იგი:

ა) ატარებს მუსიკალურ მეცადინეობას გეგმის მიხედვით, რომელიც შედგენილია თითოეული ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელებთან ერთად;

ბ) საბავშვო ბალის აღმზრდელებს ასწავლის საბავშვო სიმღერებს, მუსიკალურ თამაშობებსა და ცეკვას, კოსტუმების გაფორმებას მუსიკალური თამაშობისათვის, გართობისა და დღესასწაულებისათვის; მშობლებს უწევს კონსულტაციას მუსიკალური აღზრდის საკითხებზე;

გ) მონაწილეობს ქალაქის, რაიონის მუსიკალურ მუშაკთა პედაგოგიური თანთირებისა და მეთოდგაერთიანებების მუშაობაში;

დ) აღგენს თავის სამუშაო გეგმას და საანგარიშო მოხსენებებს;

მოტივი შვებულების ხანგრძლიობა—36 სამუშაო დღე, განსაკუთრებული რეზიმის საბავშვო ბალებში—48 სამუშაო დღე.

22. საბავშვო ბალის ექიმი:

ა) ახორციელებს ბავშვის ფიზიკური განვითარებისა და მისი ორგანიზმის წრობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს, ატარებს ბავშვთა საექიმო შემოწმებასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, თავის დროზე გამოყოფს ავადმყოფ ბავშვებს და უწევს მათ პირველ საექიმო დახმარებას, ამოწმებს დღის რეზიმის შესრულებას, ბავშვთა კვების ხარისხიანობას;

ბ) მუშაობს საბავშვო ბალის გამგესთან შეთანხმებული გეგმისა და გრაფიკის მიხედვით, სისტემატურად აწვდის ინფორმაციას გამგეს, აღმზრდელებისა და მშობლებს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობელთა და საბავშვო ბალის პერსონალს შორის ატარებს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას;

გ) ატარებს ბავშვთა პროფილაქტიკურ აცრას და სხვა იუცი-
ლებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს (დროული: იზოლაცია, ქა-
რანტინი, დეზინფექცია და სხვა). თვალყურს ადვენებს საბავშვო
ბალში ჰიგიენური რეემის დაცვას (შენობის დასუფთავება, ჰაერის
გაწმენდა და სხვ.) ახორციელებს მეთვალყურეობას საბავშვო ბალ-
ში შენობის სანიტარულ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით სამზა-
რეულოს, პროდუქტების შესანახ ადგილებსა და საპირფარეზოებზე;

დ) ახორციელებს კონტროლს საჭმლის მომზადების ხარისხი-
სა და მენიუს შედგენაზე.

ე) ეწევა სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას მშობელთა,
საბავშვო ბალის აღმზრდელებსა და მომსახურე პერსონალს შორის
ბავშვის პირადი ჰიგიენის, ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცი-
ლების, ბინის სანიტარული მოვლის საკითხზე და სხვ.

24. მედიცინის და ყოველდღიურად სინჯაეს ბავშვებს,
ასრულებს ექიმის დანიშნულებას ბავშვთათვის სამკურნალო და
პროფილაქტიკური დახმარების გასაწევად, მონაწილეობს გამაჯან-
საღებელი პროცედურების ჩატარებაში, ამოწმებს კვების ხარისხს,
შენობებისა და ნაკვეთის სანიტარულ მდგომარეობას, პირველ საე-
ქიმო დახმარებას უწევს ბავშვებსა და საბავშვო ბალის მუშაქებს,
აწარმოებს სამედიცინო დოკუმენტაციას. მედიცინის და მუშაობს
საბავშვო ბალის ექიმის უშუალო ხელმძღვანელობით.

ექიმი და მედიცინის და თავიანთ მუშაობას საბავშვო ბალში
ატარებენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინსტრუქციების
თანახმად.

ექიმისა და მედიცინის დის სამუშაო დროისა და მორიგი შვე-
ბულების ხანგრძლიობა განისაზღვრება მოქმედი, კანონმდებლობის
მიხედვით.

25. მეურნეობის გამგეს ევალება უზრუნველყოს შე-
ნობის, ქონებისა და პროდუქტების დაცვა, სადგომების, ტერიტო-
რიისა და მოწყობილობის რემონტი და სანიტარული მდგომარეო-
ბა, კვების პროდუქტებისა და საწვავის დროზე მიღება და საბავ-
შვო ბალში მიტანა, მოსამსახურე პერსონალის მუშაობაზე კონტრო-
ლი და ამ პერსონალისათვის ინსტრუქტაჟის გაწევა, ხანძარსაწინა-
აღმდევო მოთხოვნების შესრულება.

საბავშვო ბალის მეურნეობის გამგის სამუშაო დრო არანორ-
მირებულია მუშაობს საბავშვო ბალის გამგის ხელმძღვანელობით,
არის ანგარიშვალდებული პირი და პასუხს აგებს საბავშვო ბალის

ქონების და პროდუქტების დაცვაზე, მონაწილეობას ღებულობს მენიუს შედგენაში; პასუხს აგებს საჭმლის ხარისხოვან და დროულად დამზადებაზე, პროდუქტებით მომარაგებაზე; სამზარეულოსა და საწყობების სანიტარულ მდგომარეობაზე; მორიგი შეებულების ხანგრძლიობა—24 სამუშაო დღე.

26. საბაკვშეო ბალის მოანგარიშეს ევალება აჭარ-მოოს; მატერიალურ-ფინანსიური ოღრიცხვა, ფულადი, მატერიალურ-საპროდუქტო და სტარტისტიკური ანგარიშგება, საბაკვშეო ბალის ქონების ინვენტარიზაცია.

სრულ განაკვეთზე მომუშავეა მოანგარიშის სამუშაო დროის ხანგრძლიობა 7 საათია.

მორიგი შეებულების ხანგრძლიობა—12 სამუშაო დღე.

27. საბაკვშეო ბალის ღამის მორიგე ძიძა:

ა) მორიგეობის საათებში პასუხისმგებელია მისთვის ჩაბარებული ბავშვებისათვის, რომლებსაც ის იბარებს სიით და აღმზრდელისაგან ღებულობს ცნობებს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ, აგვარებს საპირუარეშოთი სარგებლობის საკითხს, ღილით ბავშვებს აბარებს აღმზრდელს და აწვდის მას ცნობებს ბავშვების ძილზე დაკვირვების შესახებ;

ბ) თვალყურს ადევნებს საძინებლებისა და საპირფარეშოების სანიტარულ მდგომარეობას, განათებას, ტემპერატურას, საღომების ვერტიკალურიას, სისტემატურად ათვალიერებს ბავშვთა საწოლებს, ანიავებს ლოგინს;

გ) ვალდებულია იცოდეს და შეასრულოს სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ინსტრუქცია ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, იცოდეს ცეცხლსაქრობით სარგებლობა, სახანძრო ნაწილის ტელეფონი და მისამართი, საბავშვო ბალის გამიისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაწესებულებათა ტელეფონები.

დ) აკრძალულია ღამის ძიძის დატვირთვა სამუშაოთი, რომელიც არ არის დაკავშირებული მის უშუალო მოვალეობასთან ბავშვთა მომსახურების მხრივ.

ღამის მორიგე ძიძა მომსახურებას უწევს არა უმეტეს ორი ჯგუფისა. ღამის ძიძა შუშაობს დოკუმენტებით, არა უმეტეს 12 საათისა ზედიზედ, არ აქვს დაძინების უფლება. ღამის მორიგე-ძიძის შეებულების ხანგრძლიობა 12 სამუშაო დღე. განსაკუთრებული რეემის საბავშვო ბალებში—24 სამუშაო დღე.



28. საბაგშვი ბაღის მზარეული:

ა) საბაგშვი ბაღის რეეიმის შესაბამისად უზრუნველყოფს საჭ-
მლის თავის დროზე და ხარისხიანად მომზადებას;
ბ) მონაწილეობს ყოველდღიური მენიუს შედგენაში, ზუსტად,
წონის მიხედვით საწყობიდან იბარებს პროდუქტებს და პასუხის-
მგებელია მათი სათანადო შენახვისა და ხარჯვისათვის, აგრეთვე
სამზარეულოს, მისი კურტკლისა და მთელი ინვენტარის სანიტარულ
მდგომარეობაზე.

გ) უზრუნველყოფს პროდუქტების ჰიგიენურ დამუშავებას და
ბაგშვთათვის საჭმლის კულტურულად მიწოდებას, დამზადებული
საჭმლის გაცემას ბაგშვზე გათვალისწინებული ნორმის მიხედვით;

დ) ვალდებულია იკოდეს კების ნორმები, ბაგშვების საჭ-
მლის მომზადების, შენახვისა და ვიტამინებით გამდიდრების წესები
და სხვა.

სამუშაო დროის ნორმა—7 საათი დღეში.

მორიგი შვებულების ხანგრძლიობა—18 სამუშაო დღე.

29. მზარეულის თანაშემწერ მზარეულის ხელმძღვანე-
ლობით ამზადებს საჭმელს, ამუშავებს პროდუქტებს, რეცხავს ჭურ-
ჭელს, ალაგებს სამზარეულოს, საჭმელს ურიგებს მორიგე ძიებს,
სცვლის მზარეულს მისი არყოფნის დროს.

მზარეულის თანაშემწერის სამუშაო დროის ნორმა—7 საათი
დღეში.

მორიგი შვებულების ხანგრძლიობა—18 სამუშაო დღე.

30. საბაგშვი ბაღის ძიძა-დამლაგებელი:

ა). პასუხისმგებელია მისთვის მინინეული სადგომების თავის
დროზე დალაგებისათვის, მტკიცედ ასრულებს სანიტარულ წესებს;

ბ). აღმზრდელს ეხმარება ბაგშვთათვის ტანისამოსის ჩაცმასა
და გახდაში, ალაგებენ ლოგინებს, სამზარეულოდან ჯგუფისათვის
მოაქვს საჭმელი და ეხმარება მის დარიგებაში, ალაგებს და რეც-
ხავს ჭურჭელს, ამზადებს წყალს ბაგშვთა დასაბანად, აგრეთვე გა-
დადულებულ წყალს დასალევად და პირში გამოსავლებად, ამოწ-
მებს პირსახოცების სისუფთავესა და ქონების დაცვას ჯგუფში. თუ
შტატი არ ითვალისწინებს მზარეულის თანაშემწერს, ეხმარება სამ-
ზარეულოში.

საბაგშვი ბაღებში, სადაც არ ჰყავთ სპეციალური მეცეცხლუ-
რი, დარაჯი მეტოვე, ძიძა-დამლაგებელი ანთებს ლუმელებს.

ძირა დამლაგებლები უმცროს ჯგუფებში არ უნდა ასრულებ-
დნენ სხვა სამუშაოს, გარდა ბავშვთა მომსახურებისა ჯგუფში. 
სამუშაო დროის ნორმა 7 საათია.

მორიგი შვებულების ხანგრძლიობა—12 სამუშაო დღე, განსა-
კუთრებულ რეეიმის საბავშვო ბალებში 34 სამუშაო დღე.

31. მეეზოვე სუფთად ინახავს საბავშვო ბალის ეზოსა და
მახლობლად მდებარე ქუჩას, თვალყურს ადევნებს სახურავების, სა-
ნავე ორმოებისა და ყუთების თავის დროზე გაწმენდას, სამეურ-
ნეო ინვენტარის შენახვას, აწარმოებს ეზოს საპირთარებოების დე-
ზინფექციას, მოაქვს პროდუქტები, ცეცხლფარების არყოფნის დროს
აპობს შეშას და ანთებს ღუმელებს.

მეეზოვე-დარაჯის სამუშაო დროის ნორმა—7 საათია დღეში.
მორიგი შვებულების ხანგრძლიობა 12 სამუშაო დღე.

32. საბავშვო ბალის ღამის დარაჯი საბავშვო
ბალს გუშაგობს 23 საათიდან მეორე დღის 6 საათამდე.
ამ დროის განმავლობაში მას დაძინების უფლება არა
აქვს. ღამის დარაჯი სარგებლობს კვირაში ერთი დასასვენებელი
დღით, ღამის დარაჯის სამუშაო დროის ნორმად დღეში ითვლება
8 საათი.

საბავშვო ბალის ღამის დარაჯს ეძლევა შვებულება 12 სამუ-
შაო დღის რაოდენობით.

33. საბავშვო ბალის ცეცხლფარები ვალდებულია
თავის დროზე გაათბოს საბავშვო ბალის შენობა. ეკონომიურად
ხარჯოს საწვავი და აწარმოოს მისი ხარჯვის ზუსტი იღრიცხვა,
თვალყური ადევნოს სათბობი სისტემის წესიერ მდგომარეობაში
ყოფნას, საბავშვო ბალის გამგისა და მეურნეობის წინაშე თავის დროზე
დააყნოს საქითხი ღუმელების გაწმენდის, მათი შეკეთების, საწვა-
ვის მოტანის შესახებ, გააფრთხილოს ისინი (ხანძრის თავიდან ასა-
ცილებლად) ცენტრალური სათბობის სისტემისა და ღუმელების
დაზიანების ან მათი გადაკეთებისა და შეკეთების, მოწყობილობის
მიმდინარე რემონტის, საზეინკლო სამუშაოების ჩატარების შესა-
ხებ.

ცეცხლფარები თავისი მორიგეობის საათებში პასუხისმგებე-
ლია. საბავშვო ბალის ყველა სადგომში ნორმალური ტემპერატუ-
რის დაცვაზე.

ცეცხლფარების სამუშაო დღის ხანგრძლიობა 7 საათია.

მორიგი შვებულების ხანგრძლიობა—12 სამუშაო დღე.

35. საჭარმოო საჭიროების შემთხვევაში მუშაკის თანხმობით და პროფორგანიზაციისთან შეთანხმებით სამუშაო დღის განმავლობაში უმცროსი მომსახურე პერსონალისათვის დასაშვებია შესვენებები იმ ვარაუდით, რომ შესვენება მოეწყოს დღეში მხოლოდ ორჯერ, სამუშაო დროის საერთო ხანგრძლიობამ კი დღის განმავლობაში არ უნდა გადაჭარბოს ნორმალურ სამუშაო დღეს.

36. არ შეიძლება აღმინისტრაციის მიერ საბავშვო ბალის მუშაკთა გამოყენება პირადი მომსახურებისა და დავალებების შესასრულებლად.

IV. ხამუშაო დრო და მიხი გამოყენება

37. მშობელთა საჭიროების მიხედვით მუშაობა საბავშვო ბალში იწყება და მთავრდება საათებში, რომლებიც დაწესებულია განათლების განყოფილების ან იმ ორგანიზაციის მიერ, რომლის გამგებლობაშიც საბავშვო ბალი იმყოფება.

საბავშვო ბალის თითოეული მუშაობს გამგის მიერ დაწესებული გრაფიკით, რომელიც შედგენილია მუშაკის ყველა მოვალეობის გათვალისწინებით და შეთანხმებულია პროფორგანიზაციისთან.

მუშაობის გრაფიკი უნდა შედგეს თავის დროზე, ერთი თვისათვის მაინც, ხელშერის ქვეშ გამოეცხადოს თითოეულ მუშაკს. მუშაობის გრაფიკში უმცველად უნდა აღინიშნოს თითოეული მუშაკის მუშაობის საათები და შესვენების დრო.

სალამოს დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ აღმზრდელთათვის გარდა გამოსასვლელი დღეებისა წესდება ყოველგვარი დატვირთვისაგან თავისუფალი 4 სალამო კვირაში.

შენიშვნა: მუშაობის საათების შეცვლის შესახებ აღმზრდელებსა და სხვა მუშაკებს წინასწარ უნდა გამოეცხადოს ხელშერის ქვეშ.

38. საბავშვო ბალის გამგე ვალდებულია უზრუნველყოს ბალის ყველა მუშაკის სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის რეგისტრაცია. ტაბელის წარმოება და შენახვა ეკისრება საბავშვო ბალის პასუხისმგებელ პირს, რომელიც ბრძანებით ინიშნება.

საბავშვო ბალის გამგე პირადად ამოწმებს სატაბელო წიგნს (სატაბელო დაფას).

39. სამუშაო დროს სამსახურის საქმეებზე ან სხვა საპატიო მიზეზით წასელა დასაშეგებია მხოლოდ საბავშვო ბალის გამგის ნებართვით. ასეთ შემთხვევაში მუშაქები, მათ შორის საბავშვო ბალის გამგეც, ვალდებული არის ცალკე რევულში აღნიშნოს წასელა და უჩვენოს სად, რა საქმეზე და რა ხნით მიღიან. დაბრუნებაც იმავე რევულში აღინიშნება.

40. საბავშვო ბალის მუშაქს ეკრძალება თავისი სამუშაოს დატოვება შემცვლელის მოსვლამდე. შემცვლელის გამოცხადებლობის შემთხვევაში მუშაქმა ამის შესახებ უნდა განუცხადოს აღმინისტრაციას, რომელიც ღებულობს ზომებს მის შესაცვლელად.

41. თუ მუშაქს არ შეუძლია სამუშაოზე გამოცხადება საპატიო მიზეზით, ის ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ აღმინისტრაციას, შემდეგ კი წარუდგინოს გასამართლებელი საბუთები.

42. მუშაობის გრაფიკის ან ერთი თანამშრომლის მეორეთი შეცვლა საბავშვო ბალის გამგის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

43. მომსახურე პერსონალისათვის შესვენება წესდება სამუშაო დღის განმავლობაში ერთი საათის ხანგრძლიობით; რაც ემატება სამუშაო დროის ხანგრძლიობას, საჭმლის მისაღებად გამოიყოფა სათანადო ადგილი.

პედაგოგიური პერსონალის კვება ეწყობა 30 წუთით ადრე აღმზრდელთა მორიგეობამდე ან მორიგეობის შემდეგ.

ძუძუმწოვარ ბავშვთა დედებს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად უწესდებათ დამატებითი შესვენებები ბავშვების კვებისათვის. ეს შესვენებები შედის სამუშაო დროში და ხდება მათი ანაზღაურება მოცემული მუშაკის ხელფასის მიხედვით.

მუშაობის საათებში აკრძალულია:

ა) საბავშვო ბალის მუშაკის მოცდენა მისი უშუალო სამუშაოსაგან, მისი გამოძახება ან სამუშაოდან მოხსნა საზოგადოებრივი მოვალეობის შესასრულებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ბ) ყოველგვარი ქრების ან თათბირის ჩატარება;

გ) მუშაკებისათვის ხელფასის გაცემა.

44. ბავშვებთან აღმზრდელის მუშაობის დროს არავის არ აქვს უფლება მისცეს მას შენიშვნები მისი მუშაობის შესახებ.

ბავშვებთან მეცადინეობის დროს ჯგუფში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ საბავშვო ბალის გამგეს, განათლების განყოფილების ინსპექტორებს, განათლების ორგანოების ხელმძღვანელებს. გარეშე პირებს მეცადინეობაზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ საბავ-

შეო ბალის გამგის ნებართვით, რომლებიც აღმზრდელის მუშაობას
ამოწმებენ.

საქართველო
სახელმწიფო

V. წახალისების ზომები

46. აღმინისტრაცია წახალისებს მუშაქს თავისი მოვალეობის მონდომებითა და სანიმუშოდ შესრულებისათვის, რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, საბავშვო ბალში ხანგრძლივი და უმწიველო მუშაობისა და სხვა წარმატებებისათვის.

47. წახალისების ზომებია:

ა) მაღლობა;
ბ) დაჯილდოება საპატიო სიგელით, ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.

გ) საპატიო წიგნში, საპატიო დაფაზე შეტანა.

დ) ფულადი პრემია.

წახალისებას მოახდენს საბავშვო ბალის გამგე პროფესიონის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

წახალისება ფორმდება ბრძანებით ან განკარგულებით და შრომის წიგნაკში შეიტანება ამ წიგნაკის წარმოების წესების შესაბამისად.

VI. ზემოქმედების ზომები შრომის დისკიპლინის დარღვევის შემთხვევებში

48. შრომის დისკიპლინის დარღვევის შემთხვევაში საბავშვო ბალის გამგე ან ზემდგომი ორგანიზაცია მუშაკებს დააღებენ შემდეგ დისკიპლინურ სასჯელებს:

ა) შენიშვნა

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) უფრო მცირე ხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა 3 თვემდე ან დაბალ თანამდებობაზე მუშაობა იმავე ვადით.

49. არასაპატიო მიზნით გაცდენისათვის საბავშვო ბალის მუშაკის მიმართ მიიღება ერთ-ერთი შემდეგი ზომა:

ა) ამ წესების 42-ე მუხლით გათვალისწინებული დისკიპლინური სასჯელი;

ბ) სამუშაოდან დათხოვნა შრომის წიგნაკში ჩევნებით, რომ მუშაკი დათხოვნილია მთელი სამუშაო დღის გაცდენისათვის არა-საპატიო მიზნით. გამცდენებად ითვლებიან აგრეთვე მუშაკები,

რომლებიც სამუშაოზე აღმოჩნდებიან არაფხიზელ მდგომარეობაში.

50. სასჯელს აღმინისტრაცია დაადებს დანაშაულის გამოყლენისას. სასჯელის დადებამდე შრომის დისკიპლინის დამრღვევულნდა მოეთნოვოს ახსნა-განმარტება. არ შეიძლება სასჯელის დადება აღმინისტრაციის მიერ დანაშაულის გამოვლინებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

51. შრომის დისკიპლინის თითოეული დარღვევისათვის შეიძლება მხოლოდ ერთი დისკიპლინური სასჯელის დადება.

52. თითოეული სასჯელი ფორმდება ბრძანებით ან განკირგულებით და ხელწერილ ქვეშ გამოეცხადება მუშავს.

53. თუ ერთი წლის განმავლობაში მუშავი აღარ დაიმსახურებს ახალ დისკიპლინურ სასჯელს მას მოქმედება ქველი სასჯელი.

თუ მუშავს აღარ დაუშვია შრომის დისკიპლინის ხელახალი დარღვევა და ამავე დროს თავი გამოიჩინა კარგი და კეთილსინდისიერი მუშაობით, საბავშვო ბალის გამგეს წლის გასვლამდე შეუძლია ბრძანების გამოცემა ამ მუშავისათვის დადებული სასჯელის მოხსნის შესახებ.

საბავშვო ბალისათვის მატერიალური ზიანის მიყენებისათვის (პროდუქტების გაფუჭება, დაკარგვა და სხვა) თანახმად არსებული კანონმდებლობისა, მათზე დადებული სხვა სასჯელის გარდა დაეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობაც, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

შრომითი შინაგანაწესი ხელწერილ ქვეშ უნდა იქნეს დაყვანილი საბავშვო ბალის თითოეულ მუშავამდე.

1955 წლის 21 მარტს საბავშვო ბალების მუშავთათვის დამტკიცებული შრომითი შინაგანაწესი ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965
 ფლის 4 ივნისის ბრძანება № 613

ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების
 შედეგების შესახებ

ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. დამაჯებაყოფილებელი მაჩვენებლებით დამთავრდა მიმდინარე სასწავლო წლის IV მეოთხედი; შეფასებულ 400 მოსწავლიდან ყველა საგანში ასწრებდა 385, ანუ 95,5%. სისუფთავეა საძინებელ და სასწავლო კორპუსებში, სასადილოში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ეზო კეთილმოწყობილია. აღსაზრდელებს სუფთად აცვიათ მორგებული ტანსაცმელი. ბავშვები ჯანმრთელად გამოიყურებიან.

მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლა-ინტერნატის მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

იმის გამო, რომ მასწავლებლებისა და აღმზრდელების მიერ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის უფრო მაღალ ღონებები დასაყენებლად საჭირო ერთობლივი ზომები არ არის გატარებული 400 მოსწავლიდან მხოლოდ 6 ხუთოსანია და 48 ოთხოსანი. გაევეთილების ცხრილი და დღის რეეიმი არ არის სრულყოფილად შედგენილი. სააღმზრდელო მუშაობის შინაარსი სათანადო სახით არ არის შეტანილი ყოველდღიურ გეგმებში. სააღმზრდელო ჯაუტებში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა ზოგ შემთხვევაში ნაკლები პასუხისმგებლობითაა შესრულებული. ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი მასწავლებელი (ა. ჭანტურია) ნაკლებ ადგილს უთმობს საკონტროლო წერებს გრამატიკულ მასალაზე, საჭირო გულისყურით არ აწარმოებს მოსწავლეთა წერითი ნაშრომების გასწორებას. რესული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში (მასწ. ტ. ანანოვა და ე. ჩაფიძე) ადგილი აქვს ახალი მასალის სიტყვა-სიტ-

ყვით თარგმნის პრაქტიკას, ლიტერატურის სახელმძღვანელოს სიმ-
ცირის პირობებში მასალის ტექსტის რევულებში კარნახით ჩაწე-
რის შემთხვევებს, ნაკარნახების შეუმოწმებლად. არ წარმოებს მოსახულების
წავლების მიერ სასიტყვარო რეველებში შეტანილი სიტყვების
სწორად ჩაწერის შემოწმება. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა გა-
მეორებას. მასწავლებლები ჯ. ფოცხვერია და ე. აშკალოვი ნაკლებ
ყურადღებას უთმობენ ზეპირ ანგარიშს. ზოგიერთ კლასში უგუ-
ლებელყოფილია მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. არ ექცე-
ვა ჯეროვანი ყურადღება მათემატიკური ცნებების დასახელებისას
დაზვებულ შეცდომების გასწორებას; ნაკლები ყურადღება ეთმობა
გეომეტრიულ მასალაზე მუშაობას, გულდასმით არ სწორდება მოს-
წავლეთა ნამუშევრები. საწარმოო და შრომითი სწავლების სახე-
ლოსნო-ებინეტებში იგრძნობა დაზებისა და სხვა ნივთების ნაკ-
ლებობა. მოწაფებს არ აქვთ საქმაო რაოდენობის სახელმძღვანე-
ლოები. მეთოდურ კომისიებში წაკითხულ მოხსენებებში არ ჩანს
მასწავლებელთა პირადი გამოცდილების გაზიარება.

სკოლა-ინტერნატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ად-
გილი აქვს ნაკლოვანებებსა და დარღვევებს; ადგილი აქვს თანხე-
ბის აუთვისებლობასა და გადახარჯვას. აღსაზრდელები არ მარაგ-
დებიან კვების პროცესებით დადგენილი ასორტიმენტისა და
ნორმების მიხედვით. აღსაზრდელთა კვების თანხების სასადილოზე
გადარიცხვა ხდება ყოველგვარი კონტროლისა და გაწეულ ხარ-
ჯებზე სათანადო საბუთების წარმოდგენის გარეშე. ბავშვ-
თა შენახვის გამოსალების დაგალიანება 1965 წლის I/IV-სათ-
ვის შეადგენდა 1489 მან. და 56 კაპიქს. დაშვებულად ანგარიშგები-
სა და საბუღალტრო საბუთების გაფორმების წესების დარღვევის
შემთხვევები. ხმარებისათვის უფარგისი ქონების ჩამოწერისას არ
არის დაცული არსებული წესი. აღსაზრდელთათვის ტანსაცმლისა
და ფეხსაცმლის გაცემა არ არის დადასტურებული ბავშვთა
ხელმოწერით. მიეღლინება-მიმოსვლის ხარჯები ზოგჯერ არასწორა-
და (მეტადა) განაღდებული. უპასუხისმგებლოდაა შედგენილი სა-
მეურნეო კომისიის აქტები. არასწორადაა ჩამოწერილი მასალები.
სკოლა-ინტერნატს აქვს გადახდილი № 1 სანატორიული ბაგა-ბა-
ლისა და სასადილოს მიერ გახარჯული ელექტროენერგიის და გათ-
ბობის ღირებულება. ავტომანქანის მუშაობაზე არაა დაწესებული
სათანადო კონტროლი, საგზურები არ ფორმდება წესისამებრ
და სხვ.

სკოლა-ინტერნატში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის უკეთ
დაყენებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში წესრიგის დამ-
ყარების მიზნით

საქართველოს
მთავრობის
მინისტრი

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. პ. მალანია სასწავ-
ლო-სააღმზრდელო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებისა და საფი-
ნანსო-სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისათვის
მკაცრად იქნას გაფრთხილებული, მასვე დაევალოს უმოკლეს ვადა-
ში აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, მომზადები არ დაუშევს საფინან-
სო-სამეურნეო ხასიათის დარღვევები და გაატაროს შემდეგი ღო-
ნისძიებები:

1) გადასინჯოს სკოლა-ინტერნატის დღის რეგიმი, ზოგიერთი
კომპონენტის დროს განსაზღვრაში შესწორების შეტანის თვალსაზ-
რისით (სარეკომენდაციო ნიმუშების შესაბამისად);

2) 1965/66 სასწავლო წლისათვის გაეკეთილების ცხრილის
შედეგნისას გაითვალისწინოს ზოგიერთ კლასში დღის გადატვირ-
თვის მხრივ შენიშვნული ნაკლოვანებების გამოსწორება;

3) გააუმჯობესოს სააღმზრდელო ჯგუფებში აღმზრდელობი-
თი მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები; ყურადღება მიე-
ქცეს აღმზრდელების მუშაობის სწორად დაგეგმვას და ჩატარებუ-
ლი მუშაობის წესიერად აღრიცხვას;

4) სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაციით მიაღწიოს თი-
თოეული დისკიპლინის სწავლების არსებითად გაუმჯობესებას და
მოსწავლეთა კოდნის ღონის ამაღლებას;

5) გააძლიეროს დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა
და აღმზრდელების მუშაობაზე, უზრუნველყოს სააღმზრდელო ჯგუ-
ფების მეცადინეობაზე სისტემატიურად დასწრება და გაატაროს
ყველასაჭირო ღონისძიება მოსწავლეთა პედაგოგიური მოსწრების
ამაღლებისათვის;

6) დასახოს და განახორციელოს ღონისძიებები, რომელნიც
უზრუნველყოფენ მასწავლებელთა და აღმზრდელების კვალიფიკა-
ციის ამაღლებას და მეთოდური საფუძლის გაღრმავებას, განსაკუ-
თრებით იზრუნოს შრომითი სწავლების მასწავლებელთა პედაგო-
გიზაციისათვის;

7) ახალი, 1965/66 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნ-
ველყოს აღსაზრდელები საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოე-

ბით, შეავსოს სახელოსნო-კაბინეტები დაზგებით, იარაღ-ხელსაწყო-
ებითა და სხვა მასალებით;

8) მიიღოს ზომები მოსწავლეთათვის კინოსეანსების ადგილზე
ჩვენებისათვის და მაქსიმალურად გამოიყენონ სასწავლო კინოფილ-
მები;

9) გააძლიეროს ხელმძღვანელობა მშობელთა კომიტეტზე;

10) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასკოლო დოკუ-
მენტების (გეგმების, ოქმების, ბრძანებების და სხვ.) სწორად შედ-
გენას, ენობრივი სიწმინდის დაცვით;

11) მიიღოს ყველა ზომა ცენტრალური გათბობის სისტემის,
წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ქსელის წესრიგში მოსაყვა-
ნად;

12) პირსაბან ოთახებში მოაწყოს სპეციალური კარადები ან
გაკეთდეს განყოფილებებიანი თაროები პირადი შიგინის საგნები-
სათვის (საპონი, ჯაგრისი, კბილის ფხვნილი), ამავე ოთახში მოე-
წყოს ფეხის საბანები, თბილი წყლის მიმწოდებელი ქსელის გაყ-
ვანით;

13) კაბიტალურად შეაკეთოს სამეურნეო კორპუსი (საშრობი
კარადის მოწყობით), საძინებელი კორპუსისა და სასაღილოს სარ-
დაფები;

14) მიაღწიოს აღსაზრდელთა კვების პროდუქტების დადგენი-
ლი ნორმების შესაბამისად მიღებას;

15) 1965/66 სასწავლო წელს სასკოლო და საძინებელი კორ-
პუსების ფართობი გამოიყენოს პროექტით გათვალისწინებულ და-
ნიშნულებათათვის;

16) არ დაუშვას თანხების აუთვისებლობისა და გადახარჯვის
შემთხვევები;

17) სასაღილოზე კვების თანხების გადარიცხვა აწარმოოს
ბავშვდღეთა რაოდენობისა და ყოველდღიურ მენიუ-მოთხოვნილე-
ბათა საფუძველზე გაანგარიშებულ ხარჯების მიხედვით;

18) უზრუნველყოს დებიტორული დავალიანების ლიკვიდაცია;

19) ახალი, მარაგში მყოფი რბილი ინვენტარის ექსპლოატა-
ციაში გადატანა, იგრეთვე ხმარებისათვის უვარებისი ქონების ჩა-
მოწერა აწარმოოს ინსტრუქციის შესაბამისად;

20) დაუკავოს სათანადო პირებს მივლინებისათვის ზედმეტად
გაცემული თანხები;

21) მასალების (საპონი და სხვ) ჩამოწერა აწარმოოს არე-
ზული ნორმების მიხედვით;

22) მომჭირნეობით აწარმოოს სამეურნეო ხარჯებისათვის განკუთვნილი თანხის გამოყენება, გადაახდევინოს სასაღილოს და № 1 სანატორიულ ბაგა-ბაღს მათ მიერ გახარჯული ელექტროენერგიის და ცენტრალური გათბობის ხვედრი ღირებულება;

23) მტკიცე კონტროლი დააწესოს ავტომანქანის ექსპლოატაციაზე და საგზურების გაფორმებაზე.

II. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში არსებულ დარღვევებისათვის სკოლა-ინტერნატის ბუბნალტერს ზ. გავაშელიძეს გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ იქნას, რომ მომავალში მსგავსი შემთხვევების დაშვებისათვის იგი დაისჯება უფრო მკაცრად.

III. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 4 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965
 ტლის 4 ივნისის ბრძანება № 614

გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნახურცილაოს სკოლის მშენებლობაზე
 დაშებული დარღვევების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნახურ-
 ცილაოს ოვაწლიანი სკოლის მშენებლობის საკონტროლო აზომვის
 შედეგად გამოვლინებული იქნა შესრულებულ სამუშაოებზე მიწე-
 რების ფაქტი, რის შედეგად ზეღმეტად არის აქტში შეტანილი სა-
 მუშაო 11 ათ. მანეთის მოცულობით.

მიუხედავად არა ერთი გაფრთხილებისა, რომ სასკოლო მშე-
 ნებლობის ობიექტებზე აქტების გაფორმება აკრძალული აქვთ სკო-
 ლის დირექტორებს, ნახურცილაოს სკოლის მშენებლობაზე შედგე-
 ნილი აქტი დაუდასტურა დირექტორმა ლ. ჯავახიამ; აქტში არას-
 წორადა დაპროცესტებული იატაკების სამუშაოები (100%-ით, იმ
 დროს როცა, ფაქტიური შესრულება არ აღემატება 35%-ს) ფ. №
 ვა-ში შეტანილია ზედირკვლის ფეთილი ქვით მოძირკეთების სამუ-
 შაოები, სამუშაოების ეს სახეობა კი საერთოდ არ შესრულებულა
 და სხვ.

სკოლის დირექტორი ჯავახიასთან ერთად აქტის არასწორად
 შედგენაში ბრალი ედებათ მოიჯარადე მშენებელ ორგანიზაციის—
 № 4 „მეცხოლონას“ სამუშაოთა მწარმოებელს, გეგეჭკორის რაიო-
 ნის განათლების განყოფილებას და განათლების სამინისტროს კა-
 პიტალური მშენებლობის განყოფილების ტექნიკამხედველ—ინჟ-
 ჩინიქვაძეს, რომლებმაც არ მიიღეს საჭირო ზომები წლის ბოლოს
 ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დასაზუსტებლიდ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სოფ. ნახურცილაოს სკოლის დირექტორი ლ. ჯავახია,
 რომელმაც ხელი მოაწერა არასწორად შედგენილ აქტზე ღირსია
 თანამდებობიდან მოხსნისა, მაგრამ ვითვალისწინებ რა მის გამოუ-

ცდელობას ამ საქმეში და გულწრფელ აღიარებას—ვუცხადებ მას.

2. საქ. სსრ განათლების სამინისტროს კაბინეტალური მშენებელობის განყოფილების ტექნიკური მშენებლების ინჟ. თ. ჩხილევაძეს ნახურ-ცილის სკოლის მშენებლობაზე არასწორად შედგენილი აქტის გა-საუქმებლად ზომების მიუღებლობისა და მშენებლობის ინვენტარი-ზაციის ჩატარებისას სამინისტროში შეუმოწმებელი მასალების წარ-მოდგენისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხი-ლებულ იქნეს, რომ შემდგომში ანალოგიური დარღვევისათვის მის მიმართ მიღებულ იქნება უფრო მეაცრი ზომები.

3. ეთხოვოს საქ. სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სოფლმშენს“ (ამხ. შ. თათარაშვილი), განიხილოს გეგეჭკორის რა-იონის სოფ. ნახურცილაოს სკოლის მშენებლობაზე 1964 წელს შე-სრულებული სამუშაოების არასწორად დააქტებისა და მიწერების საკითხი და დასაჯოს სოფლმშენის № 4 „მეხეკალონის“ მუშაკები, რომლებმაც შეცდომაში შეიყვანეს სკოლის დირექტორი.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965
 წლის 21 ივნისის ბრძანება № 681

ამეტის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი
 მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ
 მოხსენებით ბარათს ამეტის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავ-
 ლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ,
 აღნიშნავ, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა ამეტის
 რაიონის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ
 ნაკლოვანებებს ცალკეული სასწავლო დისკიპლინების სწავლების
 საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების,
 მეთოდური მუშაობის, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით
 უზრუნველყოფის, სკოლების დოკუმენტაციის წარმოების და სხვ.
 დარგში. შემოწმებულ სკოლებში სუსტია დირექტორების და სას-
 წავლო ნაწილის გამგების ხელმძღვანელობა და კონტროლი მას-
 წავლებელთა და ქლასის ხელმძღვანელთა მუშაობაზე. სუსტადა
 დაყენებული აგრძელება აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან
 მოსწავლეებთან მუშაობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ამეტის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ა.
 შველაშვილი):

ა) სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენები-
 თი ბარათის საფუძველზე საკითხი შეიტანოს რაიონშის აღმასკო-
 მისა და პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე გან-
 სახილველად;

ბ) ამეტის რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს
 სხდომაზე განიხილოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმარ-
 თველოს მოხსენებითი ბარათი, დასახოს ქმედითი ღონისძიებანი
 მასში აღნიშნული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) მომავალი სასწავლო წლის პირველ ნახევარში საფუძვლია-
ნად შეისწავლოს მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუ-
შავე სკოლის ხელმძღვანელების და მასწავლებლების მუშაობა და სამუშაო-
თუ ისინი არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, სათანადო
წესის დაცვით, დააყენოს საქითხი მათი სამუშაოდან გათავისუფ-
ლების შესახებ;

დ) საგანგებოდ შეისწავლოს რაიონის სკოლებში მათემატი-
კის სწავლება, დასახოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიება
მათემატიკის სწავლების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის;

ე) გადასინჯოს რაიონის სკოლების მასწავლებელთა შემაღენ-
ლობა და გაათავისუფლოს სამუშაოდან არა სათანადო ცენზისა და
კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები;

ვ) პირველ იენისამდე დააზუსტოს სკოლებიდან ჩამოცილებუ-
ლი სასკოლო ასაკის ბავშვები და ახალი სასწავლო წლიდან უზ-
რუნველყოს უკლებლივ მათი ჩაბმა სწავლებაში;

ზ) პერიოდულად შეისწავლოს სკოლებში სასწავლო-აღმზრ-
დელობითი მუშაობა, შემოწმების შედეგები განიხილოს სახალხო
განათლების საბჭოს სხდომებზე და გაატაროს საჭირო ღონისძიე-
ბანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის
მკეთრად ასამაღლებლად; სისტემატურად შეამოწმოს მიღებული
ღონისძიების შესრულება, მყაცრი სასჯელი დაადოს სკოლის ხელ-
მძღვანელებს და მასწავლებლებს, რომლებიც არ ასრულებენ მიცე-
მულ მითითებებს;

თ) განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს მოხსენებითი
ბარათი გატარებული ღონისძიების შესახებ.

2. კადრების განყოფილებამ (უფროსი ი. კვაჭაძე) ახმეტის
რაიონის განათლების განყოფილების განაცხადის მიხედვით უზრუნ-
ველყოს სკოლები უცხო ენებისა და რუსული ენისა და ლიტერა-
ტურის სათანადო ცენზის მასწავლებლებით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1965 წლის 4 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარა შვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამბ.

၅. ၂။ မြန်မာရှာဖွေလုပ်

ახმეტის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი
მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მოსახლეობითი გარემო

ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების შ. ლომიძის, ლ. ბასილაძის, მეთოდისტის ტ. ფაჩუაშვილის, პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლების შ. ბაკურაძისა და ე. სურგულაძის შემადგენლობით 1965 წლის 11-დან 16 მაისამდე შეისწავლა ახმეტის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობა.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ სკოლების მასწავლებელთა
დიდი ნაწილი კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მუშაობს,
მასწავლებლები სერიოზულად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ად-
გენერნ გაკვეთილის გეგმებს, თითოეულ გაკვეთილზე მოსწავლეებს
აძლევენ მტკიცე ცოდნა-ჩვევებს, მოსწავლეებს სასწავლო საგნებში
პროგრამით გათვალისწინებული მასალის მყარი ცოდნა გააჩნიათ.
ასეთებია: ფიზიკის მასწავლებლები—ნ. მაისურაძე (ახმეტის პირვე-
ლი საშუალო სკოლა), გ. ბაბაკიშვილი (მატნის საშუალო სკოლა),
ნ. კვშაგურიძე (ფიჩოვანის 8-წლიანი სკოლა); ქიმიის მასწავლებ-
ლები—ვ. ეჯიბაძე (ახმეტის I საშ. სკოლა), ნ. ტურაშვილი, მ. ხო-
ხობაშვილი (მატნის საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებლები—ა. ნონი-
აშვილი (მატნის საშ. სკოლა) და გ. ჩაფურიშვილი (ახმეტის პირ-
ველი საშ. სკოლა).

მიუხედავად ამისა, შემოწმებული სკოლების მუშაობაში აღვი-ლი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება.

მატნის საშუალო სკოლა (დირექტორი გიორგი ნაროზაული).

XI კლასი, გეოგრაფია (მასწ. თინა ჩანგაშვილი). 13

შეის ამ კლასში ჩატარებულ იქნა 2-საათიანი საკონტროლო წერტილი საჭერ თემად მოსწავლეებს ორ ვარიანტად მიეცათ თითო არა- თული გეოგრაფიული ამოცანა (ბრუნვით სხეულებზე), რომლებიც მოითხოვდა ტრიგონომეტრიის გამოყენებას. ამოცანები ამოღებულ იქნა მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებიდან და მოსწავ- ლებს მიეცა იმავე რიგით, როგორც ეს საკონტროლო წერის დროს (29 აპრილს) მიუცია საგნის მასწავლებელს. 36 მოსწავლი- დან საკონტროლო წერას დაესწრო 23 მოსწავლე (გამოუცხადებელ მოსწავლეთა შორის 6 გაპარული აღმოჩნდა მე-5—6 გაკვეთილები- დან, ალბად უცოდინარობის მიჩვის მიზნით). წერამ მოვცა შემდეგი შედეგი (შედარებისათვის მოტანილია 29 აპრილს ჩატა- რებული საკონტროლო წერის შედეგებიც).

29/IV

„5“—5

„4“—5

„3“—17

„2“—1

„1“—0

13/V

„5“—2

„4“—3

„3“—2

„2“—16

„1“—0

ამავე კლასის საკონტროლო წერის რვეულების შესწავლის შედეგად დაგენილია, რომ XI კლასში სასწავლო წლის მანძილზე მხოლოდ ერთჯერაა ჩატარებული შემაჯამებელი ხასიათის ორსაა- თიანი საკონტროლო წერა (29 IV) და ამ დროს მიცებული ამო- ცანაც არ შეიცავდა პარამეტრების რიცხვით მნიშვნელობებს, მოს- წავლებს ევალებოდათ მხოლოდ ზოგადი პასუხის მიღება: ეს სამუ- შაო არ მოითხოვდა გამოანგარიშებას ლოგარითმული ცხრილების (ან ლოგარითმული სახაზეის) გამოყენებით. მასწავლებლის მიერ დასმული ნიშნები ლიბერალურია; ზოგჯერ შეუმჩნეველია დაშეგებუ- ლი შეცდომები. მასწავლებელს ყოველთვის არ შეაქვს საკლასო ურნალში საკონტროლო წერის ნიშნები. დაცული არ არის სა- კონტროლო წერა (ნაცვლად 10—11-ისა).

IX² კლასი, გეოგრაფია (მასწ. გიორგი გრიგორიანი) მოსწავლეთა საერთო მომზადების დონე გეოგრაფიაში დაბალია. სრულიად უვარებისია მოსწავლეთა საშინაო-საკლასო წერის რვეუ- ლები. მოსწავლეებს გასამეორებლად ჰქონდათ მიცემული „პროპორ-

ციული ხაზები წრეში". მასწავლებელი გამოძახებულ მოსწავლეს უწეს ზედმეტ მეურვეობას, არ აცდის საკუთარი აზრის გამოთქმას იმის შიშით, რომ ცუდი არაფერი წამოცდეს. ძალიან დადგინდება დრო იხება ახალს; არ ხდება დაფის რაციონალურად გამოყენება. არასრულად იწერება ამოცანის მონაცემები; ძალიან გაჭიანურებულია ამოხსნის მიმღინარეობა. მოსწავლეებს უჭირთ სახაზავი ხელსაწყოების, მათ შორის ფარგლის გამოყენება დაფაზე, ხოლო საკლასო-საშინაო დაგალებათა შესრულებისას სრულიადაც არ იყენებენ მათ. მასწავლებელს მთელი ყურადღება გადააქვს დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეზე. დანარჩენი მოსწავლეები დაფიდან იწერენ უშინაარსოდ და მექანიკურად.

შემოწმების მომენტისითვის მასწავლებელს აღმოაჩნდა მხოლოდ ერთადერთი გაკვეთილის გეგმა გეომეტრიაში და ისიც შედგენილი ზერელედ. კლასში 10—11 საკონტროლო წერის ნაცვლად დღემდე ჩატარებულია 8 საკონტროლო წერა. წერის ნიშნები უმეტეს შემთხვევაში არ არის შეტანილი საკლასო ეურნალში. მასწავლებელი მეოთხედური ნიშნების დადგენისას ანგარიშს არ უწევს საკონტროლო წერის ნიშნებს, რის გამოც მოსწავლეთა მეოთხედური შეფასება ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ლიბერალურია.

VIII² კლასი, ალგებრა (მასწ. თ. ჩანგაშვილი)

მიმღინარეობს განვლილი მასალის განმეორება—ვარჯიში მეორე ხარისხის განტოლებათა სისტემის შედგვნაზე. მასწავლებელი დამაქაყოფილებლად ახდენს ამოცანის ანალიზს, შისივე დახმარებით ერთ-ერთი მოსწავლე ადგენს სისტემას, მაგრამ უკეთესი იქნებოდა თავიდან აგვეცილებინა წილადწევრებიანი განტოლებების შედგენა, რის შესაძლებლობასაც ამოცანის პირობა იძლეოდა. VIII კლასის მოსწავლეებს უჭირთ ორნიშნა რიცხვების გამოსახვა მათებატიკურ ენაზე. კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია. 25 მოსწავლიდან ყოველ მეოთხედში მათემატიკური ჩამორჩება 10—12 მოსწავლე. მოსწავლეთა საშინაო დავალებების რვეულების დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ არ არის გავლილი პროგრამის ცალკეული ქვეთემები; ასე მაგალითად, კლასში ყველაზე უკეთესი მოსწავლის საერთო რვეულში აღმოჩნდა მხოლოდ ხაზოვანი ფუნქციის რამდენიმე გრაფიკი. რაც შეეხება $y=ax^2+bx+c$; $y=\sqrt{x}$ ფუნქციების გრაფიკებს, იგი შესწავლილი არ არის. მოსწავლეთა 53

საკულტო-საშინაო დავილების რვეულები დიდად ჩამორჩება მოთხოვნათა დონეს.

VII² კლასი, გეოზე ტრია (მასწ. ლეილა ჭიჭიაშვილი) გაკვეთილის ოქმა—წრის ფართობი. გაკვეთილის მსვლელობის წროცესში ირკვევა, რომ ზოგიერთ მოსწავლეს არასწორი წარმოდგენა აქვს Π რიცხვის შესახებ. მათ ჰქონიათ, რომ სხვადასხვა წრებაზებისათვის Π რიცხვის სიღიღეც სხვადასხვანაირი იქნება. ამის მიზეზი ისაა, რომ Π რიცხვის სიღიღის დაღვენა კლასში არ მოხდარა ცდის გზით, რასაც პროგრამა ითვალისწინებს. მოსწავლეები არ არიან გაცნობილი ტერმინებს: „წირი“, „წრეწირი“. ახალი გაკვეთილის ახსნის ტემპი ზედმეტად შენელებულია. მასწავლებლის მიერ გაკეთებული ნახაზი ვერ არის მეაფიო. კიდევ უფრო ცუდად ხაზავენ მოსწავლეები. მოსწავლებთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ დაბალია მათი მომზადების დონე: ვერ განმარტეს პარალელური სწორი ხაზები, ვერ შეძლეს გაევლოთ წრეხაზი მოცემულ სამ წერტილზე, რომლებიც ერთ წრფეზე არ მდებარებენ, არ უნახავთ პალეტი და არც იციან მისი გამოყენება, არ იციან საზომთა მეტრული სისტემა. VII¹ კლასის საკონტროლო წერის რვეულების გადათვალიერებამ (ამ კლასს ასწავლის იგივე მასწ. ლ. ჭიჭიაშვილი) დაგვარწმუნა რომ კლასში წერების თემატიკა და რაოდენობა დაცულია. ნაზრომების გაფორმება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შედეგები დაბალია.

V² კლასი, არით მეტიკა (მასწ. სირანა სარქისაშვილი)

გაკვეთილების გეგმები ძალიან მოქლე, ტრაფარეტული და არაფრის მთემელია, მასწავლებელი გაკვეთილის თემებად მიიჩნევს ამოცანისა და მაგალითის ამოხსნას და ა. შ. მოსწავლეები სუსტად ფლობენ გავლილ მასალას. განსაკუთრებით სუსტად იციან საზომთა მეტრული სისტემა.

V⁴ კლასი, არით მეტიკა (მასწ. მარგო სისაური). კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე ამეღავნებს დამაკმაყოფილებელ ცოდნას; დანარჩენები ან სულ არ ცდილობენ პასუხი გასცენ დასმულ საკითხებზე ან იძლევიან მცდარ პასუხებს.

IV⁴ კლასი, არით მეტიკა (მასწავლებელი მზია გარუქა-შვილი) მასწავლებელი პირველად ასწავლის არითმეტიკას ამ კლასში. გაკვეთილი დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. კლასის საერთო მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა, აღვილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც: მოსწავლეებმა არ იციან საზომთა მეტრული სისტემა; შეცდომებს უშვებენ გაყოფის დროს, როცა განაყოფის რომელიმე ციფრი 0-ის ტოლია; ვერ იყენებენ

შეკრებისა და გამრავლების კანონებს გამოანგარიშებათა გამარტინ-
ვებისათვის.

VI² კლასი, ალგებრა (მასწ. ზაქარია გარშაულაშვილი)
გაკვეთილის თემაა ორი წევრის ჯამისა და სხვაობის კუბი. მოს-
წავლები წესებს აყალიბებენ, მაგრამ შეგნებულად ვერ იყენებენ
მაგალითების ამოხსნისას, რაც დაადასტურა დამოუკიდებელმა სა-
მუშაომ, ვერცერთმა მოსწავლემ სწორად ვერ ამოხსნა მაგალითები:
(ა—3)³; (ა—1)³; მოსწავლეებმა გავლილი მასალის დაბალი ცოდნა
გამოამტავნეს. მათ წარმოდგენა არ აქვთ რიცხვის აბსოლუტურ
სიდიდეზე, არ შეუძლიათ უმარტივესი განტოლების მიხედვით ამო-
ცანის შედეგენა. არადამაქმაყოფილებელ მდგომარეობაშია საშინაო-
საკლასო წერის რვეულები. მასწავლებელს არ აღმოაჩნდა მიმდი-
ნარე სასწავლო წლის I ნახევრის საკონტროლო წერის რვეულები.
ახმეტის პირველი საშუალო სკოლა (დირექტორი
ნინო პეტრიაშვილი)

XI¹ კლასი (მასწ. ოთარ მამულაშვილი). ჩატარდა საკონ-
ტროლო წერა გეომეტრია-ტრიგონომეტრიის გამოყენებით. საწერი
თემა შეარჩია საგნის მასწავლებელმა—საშუალო სინელის ამოცანა
კონუსისა და პირამიდის პირეულებზე. გაკვეთილს 19 მოსწავლი-
დან 16 დაესწრო. წერის შედეგები ასეთია:

.5"—1

.4"—1

.3"—4

.2"—7

.1"—3

ნაშრომები მასწავლებლის მიერ ძირითადად დამაქმაყოფილებ-
ლად იქნა გასწორებული.

გავცანი ამავე კლასის საკონტროლო წერის რვეულებს. სა-
კონტროლო წერების რაოდენობა და თემატიკა დაცულია. ადგი-
ლი აქვს ზოგიერთ ნაკლს საკონტროლო სამუშაოთა შესრულებაში;
ა) საკონტროლო სამუშაოები დასათაურებული არ არის თემების
მიხედვით; ბ) ნახაზები შესრულებულია ფანქრით და სახაზავი ხელ-
საწყოების გარეშე, დაცული არ არის ხილული და უხილავი ხაზე-
ბის დახაზვის წესი; გ) ზოგიერთი ნაშრომი შეფასებულია თითო
ბალით უფრო მაღალი ნიშნით; დ) დაბალია ცალკეული საკონ-
ტროლო წერების შედეგები. არადამაქმაყოფილებელ მდგომარეო-
ბაშია მოსწავლეთა საკლასო-საშინაო წერის რვეულები. ასეთივე

მდგრადმარეობაშია XI² კლასის საკონტროლო და საკლასო-საშინაო ნამუშევრები მათემატრეგაზი (მასწ. ო. მამულაშვილი).

IX² კლასი, ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების ციკლი (საგნის მასწავლებელი იზა ნადირაშვილი, შემცვლელი მასწ. შაქრო ბაგაური). გაკვეთილის თემა—30°, 45°, 60°-იანი კუთხების ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა ნიშნები მეოთხედების მიხედვით. ეს ქვეთება ამოლებულია მე-4 თემიდან „ნებისმიერი არგუმენტის ტრიგონომეტრიული ფუნქციები“, რომელსაც პროგრამის მიხედვით დათმობილი აქვს 42 საათი. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილი ჩატარდა დამაკმაყოფილებლად, გეომეტრიული და ტრიგონომეტრიული მასალა შესწავლილ იქნა ერთმანეთთან შეიძლო კავშირში, გაკვეთილის ტემპი მაინც დაბალი იყო. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ჩამორჩენა, რასაც ადგილი აქვს პროგრამული მასალის დამუშავებაში: დაახლოებით 30 საათის მასალა დარჩება მიმდინარე სასწავლო წელს გაუვლელი დასახელებული მე-4 თემიდან.

X² კლასი, გეომეტრია (მასწ. ოთარი მამულაშვილი). გაკვეთილის თემა—წესიერი პირამიდის გვერდითი და სრული პირეული. საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ მიმდინარეობს ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე. გამოძახებული მოსწავლის მიერ შესრულებული ნახაზი (წესიერი წაკვეთილი სამკუთხა პირამიდა) არადამაკმაყოფილებლია; მასზი წიბო და სიმაღლე ერთმანეთს ფარავენ, რასაც მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს. ნახაზების შესრულების წესს არ იცავს თვით მასწავლებელიც; მაგალითად, იგი დაფაზე ხაზას წესიერი ექვსკუთხა პირამიდის აქსონომეტრიულ გეგმილს, რომელშიაც ფუნქციების (წესიერი ექვსკუთხედების) მოპირდაპირე გვერდების პარალელობა არ არის შენარჩუნებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შემთხვევაში საკმარისი იყო წესიერი წაკვეთილი ექვსკუთხა პირამიდის ერთი მეტყვესედის ნახაზი და არა მისი მთლიანი აგება, რაზედაც ფუჭად დაიკარგა დრო. გამოძახებული მოსწავლეების მეტყველების ტონი ცუდია, ისინი თითქმს მღერიან პასუხის გაცემისას. გავეცანით X² კლასის საკონტროლო ნაშრომებსაც. სულ მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარებულია 9 საკონტროლო წერა (10—11 საკონტროლო წერის ნაცვლად). თემატიკა და გასწორების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ამავე კლასში ორივე საგანში (ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები, გეო-

მეტრია) ადგილი აქვს ჩამორჩენას პროგრამული მასალის გავლაში დაახლოებით 10—10 საათით.

IV კლასი, არითმეტიკა (მასწ. რუსულან ლეფსკერიძემ) მოსწავლეებს მიეცათ 20-წუთიანი დამოუკიდებელი სამუშაო ნახელ-დებული რიცხვების დაშლა-გადაქცევაზე. მოგვყავს ამ სამუშაოთა ვარიანტები:

| I ვარიანტი | II ვარიანტი |
|---------------------------------|------------------------------|
| 15 კვ. მ = ...კვ. სმ (1) | 37 მ = ...სმ (17) |
| 16 კუბ. მ = ...კუბ. დმ (2) | 37 კვ. მ = ...კვ. დმ (6) |
| 10 ჰა = ...კვ. მ (0) | 15 კუბ. მ = ...კუბ. სმ (0) |
| 201 კგ = ...გ (1) | 1 ტ = .გ (4) |
| 1 კგ = ...სმ (1) | 21 ჰა = ...კვ. მ (2) |
| 50000 კვ. დმ = ...კვ. მ (0) | 60000 კვ. დმ = ...კვ. მ (0) |
| 5 ჰა = ... არი (1) | 600 არი = ...ჰა (1) |
| 1000000 კუბ. დმ = ...კუბ. მ (1) | 12000000 კუბ. დმ = ...კუბ. მ |

პირველი ვარიანტით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა 12-მა მოსწავლემ, მეორე კი 19-მა. ფრჩხილებში ნაჩენებია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც ამოხსნეს მოცემული მაგალითი. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა ძალიან ცუდად იციან საჭომთა მეტრული სისტემა. გაკვეთილის დანარჩენი ნაწილი მიმღინარეობდა მასწავლებლის მიერ დასახული გეგმის შესაბამისად) კუბი; ზეპირი ანგარიში), რაც დამაკმაყოფილებლად წარიმართა.

VII³ კლასი, ალგებრა (მასწავლებელი მერი სოლოლაშვილი) გაკვეთილის თემა—პირველი ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა სისტემის შედგენა. გაკვეთილი ძირითადად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტემპი ძალიან დაბალია, რის გამოც ვერ მოესწრო ერთადერთი განხილული ამოცანის ამოხსნის შემოწმება. მოსწავლეთა საშინაო-საკლასო ნამუშევრები დამაკმაყოფილებელია.

VII² კლასი გეომეტრია (მასწ. მაყვალა ხარიტონაშვილი) გამოსაკითხი გაკვეთილის თემა იყო სამკუთხედის გარე კუთხის. თვისება. მასწავლებლის ყურადღების ცენტრშია გამოძახებული მოსწავლე, დანარჩენები პასიური შემენელების როლშია. ახალი გაკვეთილის თემა—30°-იანი კუთხის პირდაპირ მდებარე კათეტის თვისება. დაფაზე გაკეთდა არასწორი ნახახი: მოსწავლემ ააგო ნების-მიერი მართხული სამკუთხედი, რომლის უდიდესი მახვილი კუთხე მიიჩნია 30°-იანად. როცა მას დავავალეთ, გაეზომა ეს კუთხე, გა-

მოირკვა, რომ არც მან და არც დანარჩენმა მოსწავლეებმა არ იციან კუთხის გაზომვა ტრანსპორტირის დახმარებით. მოსწავლეებს ჰელიკოპტერებით განვითარება არსებობდეს სამკუთხედი ერთი მართვით და ერთი ბლაგვი კუთხით, ვერ განმარტეს პარალელური სწორი ხაზები. მასწავლებელმა დიდი დრო დახარჯა ისეთი ამოცანის დაფაზე ამოხსნისათვის, რომელიც ზეპირი ვარჯიშისთვისაა გათვალისწინებული. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. მასწავლებელი უნდა დაეუფლოს საგანსა და მისი სწავლების მეთოდს.

გავეცანით VI¹, VI² და VI³ კლასების მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს (მასშტ. მ. ხარიტონაშვილი). სასწავლო წლის პირველი ნახევრის რვეულები აღგილზე არ აღმოჩნდა; II ნახევრისა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას მსჯელობა ძალიან გაჭირებულია და არა ჩანს ხელსაწყობის გამოყენება საჭირო შემთხვევებში.

V² კლასი, არით მეტიკა (მასშტ. დავით ცისკარიშვილი). გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს მიეცათ 15-წუთიანი დამოუკიდებელი სამუშაო სახელდებული რიცხვების დაშლა. გადატევაზე. ზუსტად იგივე მასალა, რაც მიეცათ IV კლასში მასწავლებელ რუსულან ლეფსვერიძესთან, (იხ. წინ). დამოუკიდებელმა სამუშაომ აქ კიდევ უფრო სავალილო შედეგები გამოავლინა — თითქმის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო ნაჩვენებ დროში მოცემული დავალებიდან თუნდაც ერთი მაგალითის სწორად გაკეთება. დარჩენილ დროში მასწავლებელმა ახსნა ახალი გაკვეთილი — წილადრიცხვიანი შეფარდებების შეცვლა. მთელი რიცხვების შეფარდებით. მოსწავლეებმა წესი მიიღეს მათგანატიკური დასაბუთების გარეშე და იწყეს მისი გამოყენება მაგალითების ამოსახსნელად. გადავათვალიერეთ ამ კლასის საკონტროლო წერის რვეულები. ნორმები დაცულია, გასწორების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. თემატიკა შეესაბამება პროგრამას.

გავიცანით მოსწავლეთა წრეობრივ მუშაობას მათემატიკაში. სკოლაში შექმნილია 2 წრე — ერთი IX — XI, ხოლო მეორე V — VIII კლასების მოსწავლეთათვის. პირველ მათგანში (ხელმძღვანელი მამულაშვილი) მუშაობა შედარებით უკეთესად არის დაყენებული. სამუშაო გეგმების თემატიკა კარგია. 2 მოსწავლის ნაშრომი გაგზავნილიც ყოფილა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში რესპუბლიკურ კონფერენციაზე გასატანად, საიდანაც მოსწავლეებმა დადებითი შეფასება მიიღეს. მეორე წრის გეგმაში უპირა-

ტესად შეტანილია საკითხები მათემატიკიდან. წრეების მუშაობის პრაქტიკაში არ არის შიღა სასკოლო შეჯიბრებების გამართვა მთემატიკაში. მოსწავლეები მონაწილეობას არ ღებულობენ ნორჩი მუშაობის თემატიკასთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში.

შევისწავლე მათემატიკის მეთოდების შემთხვევაში განვითარება. გეგმა ძალითადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მასში სჭარბობს ზოგადი პედაგოგიკის საკითხები; ზოგჯერ აღვილი აქვს გეგმის თავის დრო-ზე შეუსრულებლობას. მაგალითად, 6. V-თვის გათვალისწინებული მოხსენებები ჯერ კიდევ წარმოუდგენერირდები; ეს სხდომა არაა ჩატარებული. ზოგიერთი საკითხი სუსტადაა დამუშავებული; მაგალითად, კვადრატული განტოლებების გამოყვლევა (მასში. ა. ნადირა-შვილი); ზოგიერთი თემა აბსტრაქტულად არის დასმული, მაგალითად, „ზეპირ სავარჯიშოთა სისტემა ილგებრაში“; არ ჩანს ამ თემის აცტორის გვარი და სახელი; თემიდან არც ის ჩანს, თუ რომელი კლისტების ალგებრის კურსს ეხება აღნიშნული თემა.

ოფიოს საშუალო სკოლა (დირექტორი ალექსი ჯ-ჯილაშვილი). სანამ ცალკეული გაქვეთილების ანალიზზე გადავი-ღოდეთ, წინასწარ შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი სკო-ლებიდან ყველაზე (უდი მდგრადარეობა ამ სკოლაშია).

VIII კლასი, ალგებრა (მასშტ. ნინო თვალიაშვილი) მოსწავლებს საწერი თემა მიეკა 2 გარიანტად:

$$\left\{ \begin{array}{l} x^2 + y^2 = 10; \\ y + x = 4; \end{array} \right.$$

- 2) ဝာဂောက ဂရှာဖိုကျော် ဖွံ့ဖြိုးပိုင်စာ

$$\begin{aligned} & \text{II 3} \\ & 1) \text{ } \circ\partial\text{m}\text{b}\text{b} \\ & x^2 + y^2 = 14; \\ & y - x = -2; \end{aligned}$$

- 2) ააგეთ გრაფიკები ფუნქციებისა:

წერის ხანგრძლიობა 1 აქადემიური საათი

შედეგები ასეთია:

" 5" - 0
 " 4" - 0
 " 3" - 0
 " 2" - 5
 " 1" - 7

გაკვეთილს დაესწრო 12 მოსწავლე (23-დან). მოსწავლე ლ. თ-მა, რომელსაც მეოთხედური შეფასება აქვს „4“, წერაში მიიღო „1“, მოსწავლე ნ. ჯ-მა, რომელსაც მეოთხედური ნიშანი აქვს 2¹, მიიღო 2². ადგილი აქვს ჩამორჩენას პროგრამული მასალის გავლაში დაახლოებით 10 საათით (ალგებრაში).

XI კლასი, ალგებრა (მასწ. იათამზე მამულაშვილი) გაკვეთილს ესწრება 23 მოსწავლე (33-დან). მოსწავლეებს ეძლევათ საკონტროლო სამუშაო 2 ვარიანტად:

I ვარიანტი

$$\text{ვიბოვოთ } \left(\frac{\sqrt[3]{x}}{b} + \frac{b}{\sqrt[4]{x}} \right)^{18} \text{ განამწერივის ის წევრი, რომელიც შეიცავს } x^{-1}\text{-ს.}$$

II ვარიანტი

$$\text{ვიბოვოთ } \left(\frac{\sqrt[4]{x}}{b} + \frac{b}{\sqrt[3]{x}} \right)^{18} \text{ განამწერივის ის წევრი, რომელიც შეიცავს } x^{\frac{1}{4}}\text{-ს.}$$

ლიც შეიცავს $x^{\frac{1}{4}}$ -ს. საწერი თემა შემდეგნაირად იქნა შერჩეული. ამ კლასში რამდენიმე დღის წინ (5 მაისს) ჩატარებულა საკონტროლო წერა თემაზე „ნიუტონის ბინომი“. მოსწავლეებს 2 ვარიანტად ჰქონიათ მიცემული 3-3 მაგალითი. ჩვენ ამავე მაგალითებიდან ავიღეთ მხოლოდ აქ მოყვანილი თითო მაგალითი და მივეცით ამოსახსნელად მოსწავლეებს. აქვე ვიძლევით 5 მაისსა და 15 მაისის საკონტროლო წერების შედეგებს:

| 5/V | 15/V |
|--------|--------|
| „5“—0 | „5“—0 |
| „4“—1 | „4“—0 |
| „3“—20 | „3“—2 |
| „2“—12 | „2“—21 |
| „1“—0 | „1“—0 |

ასეთი ცუდი შედეგების გამო დავინტერესდით უფრო ახლოს გავცნობოდით ამ კლასის მდგომარეობას და მასწავლებელს ჩავატარებინეთ ალგებრის გაკვეთილი (VI გაკვეთილად) მის მიერ დასახული გეგმის მიხედვით. გაკვეთილს ჩვენთან ერთად ესწრებოდა 5.

ახმეტის რაიონის განათლების განცოდილების სასკოლო ინსპექტორი ლავრენტი შავლოხოვი. მოსწავლეებმა, მასწავლებლის შექითხვების ბასუხად, დაფაზე დაწერეს ფორმულები (შეერთებათ ოქტომბერიდან), რომელთაგან არც ერთი სწორი არ იყო. მასწავლებლისათვის ეს შეცდომები შეუმჩნეველი დარჩა. შემდეგ კლასს მიეცა შეკითხვები მიმდინარე სასწავლო წელში გაეღლილი თემებიდან „უტოლობანი და განტოლებათა გამოკვლევა“, „უმაღლესი ხარისხის განტოლებანი“. მოსწავლეებმა ვერ შეძლეს დაყვანილი და დაუყვანელი კვადრატული განტოლებების განსაზღვრა და მაგალითების დასახელება, ძლივს-ძლივობით (ისიც მასწავლებლის დახმარებით) შეძლეს ამოებსნათ კვადრატული განტოლება $x^2 - 7x + 10 = 0$ ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ გამოიკვლია $y = x^2 - 7x + 10$ სამშევრი. კითხვაზე: „ x -ის რომელი მნიშვნელობისათვის მიიღებს ეს სამშევრი 0 -ის ტოლ მნიშვნელობას?“ მხოლოდ ერთმა მოსწავლემ სცადა ვაცა პასუხი და ისიც ამაოდ (უპასუხა: „როცა $x=0$ “). ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო $27x^2 - 1 = 0$ განტოლების ამოხსნა. არც ერთმა მოსწავლემ არ იცის $a^3 - b^3$ დაზღლა მამრავლებად. მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ კომბლექსურ რიცხვებზე და მათ გეომეტრიულ ინტერპრეტაციაზე. მასწავლებელი მეტყველებს გაუმართავი ენით.

IX კლასი, ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები (მასწ. ნინო თვალიაშვილი) მოსწავლეებს საშინაო დავალებად ჰქონდათ მიცემული 2 მაგალითი ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნაზე 1) $\sin^4 x - \cos^4 x = 0,5$; 2) $\cos^2 x - \sin^2 x = 1$ გავეთილს 16 მოსწავლიდან 7 ესწრებოდა, შეიძიოვე მოსწავლეს ერთმანეთისაგან აქვს გადაწერილი საშინაო დავალება, რაც მასწავლებლისათვის შეუმჩნეველი ჩერება. ცველა მოსწავლის ნაშრომი სავსეა აუარებელი შეცდომებით. მოსწავლეებს დამოუკიდებელ სამუშაოდ მიეცა შემდეგი ტიპის 4—4 მაგალითი: $2\sin x = -1$;

$$\cos x = -\frac{1}{2} \quad \text{რომლებიც ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა}$$

20 წუთის განმავლობაში. მასწავლებელს ვუჩრიეთ, ამუშაოს მოსწავლეები საშინაო დავალების მაგალითებზე, რომლებიც მათ არასწორად აქვთ ამოხსნილი აქ გამომულავნდა როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებლის სრული უსუსურობა. დაფასთან გამოძახებულ მა მოსწავლემ (კ. გ-მ) ვერ შეძლო დამოუკიდებლად ეპოვა $1 - \frac{1}{2}$,

$$\frac{1}{2}: 2. \text{ მასწავლებლის კარნახით მოსწავლეებმა ჩაწერეს: } \cos x = \pm \frac{1}{2}; \quad x = \arccos \left(\pm \frac{1}{2} \right); \quad x = \pm 60^\circ; \quad x_k = 360_k \pm 60^\circ.$$

საქართველო
უცხოური განაკვეთი

წავლებს წარმოდგენაც არ აქვთ თუ რა არის x , რა არის x_k . ვა-
კიცანით ამავე კლასის საკონტროლო ნაშრომებს. სასწავლო წლის
პირველ ნახევრის რვეულები ადგილზე არ აღმოჩნდა. სასწავლო
წლის მეორე ნახევრის განვლილ პერიოდში ჩატარებულია მხოლოდ
4 საკონტროლო წერა, ნაშრომების გასწორებისას გაპარულია შეც-
დომები, ნაშრომები შეფასებულია ლიბერალურად.

VII კლასი, გეომეტრია (მასწ. ირაკლი რჩეულიშვილი).
გაკვეთილს 19 მოსწავლიდან მხოლოდ 12 ესტრებოდა. გამოსაყი-
თხმა მასალამ, რომლის თემა იყო წრის ფართობი, π^0 -იანი სექტორის
ფართობი, ძალიან ბევრი დრო წაიღო. მოსწავლეებს არასწორი
წარმოდგენა აქვთ π რიცხვის შესახებ, რაც შედეგია იმისა, რომ
სათანადო დონეზე არ ჩატარებულა ცდა π რიცხვის სიდიდის და-
სადგენად. ერთმა მოსწავლემ π^0 -იანი სექტორის ფართობისათვის
დაწერა ფორმულა $S = \frac{\pi r^2 n^0}{360}$. მასწავლებელმა შეცდომა ვერ შეამ-
ჩნია და, როგორც შემდეგ მასთან საუბარში გამოირკვა, არც შეეძ-
ლო შეემჩნია, რადგანაც თვითონაც ასე ესმის ეს საკითხი. მოსწა-
ვლეები ერთმანეთში ურკვენ წრის ფართობსა და წრებაზის სივრ-
ძეს. ახალი გაკვეთილის თემა — „ცილინდრი, მისი შლილი, ცილინ-
დრის ზედაპირი“. მასწავლებელი ცილინდრის მაგალითებად ასახე-
ლებს: „ხის მორს“, „ფეხის მილს, ტრუბას რომ ეძახიან ქართუ-
ლად“ და ა. შ. მას გაკვეთილზე მოტანილი ჰქონდა ცილინდრი,
მაგრამ არ ჰქონდა მისი ზედაპირის განაშალი, რომლის დამზადება
სულ იოლად შეიძლებოდა ქაღალდისაგან. მან დაფაზე დახაზა ცი-
ლინდრის აქსონომეტრიული გეგმილი, მაგრამ იმის შესახებ არა-
ფერი უთხრა მოსწავლეებს, თუ რატომ იხახება ასე და არა სხვა-
ნაირად. ახალი გაკვეთილის ახსნისას ხშირად ხმარობდა ტერმინს
„მსახველი“ თუმცა მოსწავლეებისათვის გაუგებარი იყო, თუ რის
შესახებ იყო ლაპარაკი. მოსწავლეებმა (გარდა ერთისა) ვერ შეძ-
ლეს კუთხის გაზომვა ტრანსპორტირით, სიმაღლის გავლება ბლაგვ-
კუთხის სამკუთხედში, 3 წერტილზე წრებაზის გავლება.

ფიჩეოვანის 8-წლიანი სკოლა (დირექტორი ერას-
ტი ხუბეჯაშვილი).

VIII კლასი, ალგებრა (საგნის მასშტ. სოფო ბერიკაშვილი, მისი შემცველელი მასწავლებელი იზოლდა ქაშიბაძე). მოსწავლებს არ ვარიანტად ეძლევათ ამოცანა კვადრატული განტოლების შედეგენაზე. ამოცანა ამოღებულია მათი საკონტროლო წერის რეცულიდან (ეს ამოცანა საწერად მიუკია კლასისათვის მასწავლებელს 10 მაისს) 2-ვე ვარიანტის სიუჟეტი ერთნაირია, განსხვავება არის მხოლოდ სიდიდეთა რიცხვით მნიშვნელობებში. აქვე მოგვყავს 10/V და 14/V წერის შედეგები:

| | |
|-------|-------|
| 10/V | 14/V |
| "5"—5 | "5"—0 |
| "4"—4 | "4"—3 |
| "3"—0 | "3"—0 |
| "2"—0 | "2"—6 |

აშკარაა, რომ ადგილი აქვს თვალის ახვევისა და ლიბერალიზმის ფაქტს. ამასთანავე უნდა ალინიშნოს, რომ მასწავლებელს 10 მაისს მოსწავლებისათვის საკონტროლო წერის თემა I ვარიანტად მიუკია, რაც მათ ერთი მეორისაგან გადაწერის საშუალებას აძლევდა. საკონტროლო წერის ერთ ვარიანტად მიცემას სხვა დროსაც ჰქონია ადგილი. საკონტროლო წერის რეცულების გადათვალიერებამ გვიჩვენა, რომ წერების რაოდენობა დაცულია, თემატიკა კი არა. მაგალითად, პირველი თემის (საანგარიშო სახაზავი) ირგვლივ არც ერთი წერა არ არის ჩატარებული. ზოგჯერ საკონტროლო წერისათვის კლასს ეძლევა ძალიან მცირე მოცულობის მასალა. შემოწმებით გამოირჩევა, რომ ჯერჯერობით დაწყებულიც არ არის VIII კლასში ალგებრის უკანასკნელი თემის „ფუნქციებისა და გრაფიკების“ (23 სთ) შესწავლა, რაც ყოვლად მოუთმენელია. საკონტროლო ნაშრომების გასწორებისას ხშირად გაპარულია უხეში შეცდომები, ნიშნები შეუტანელია ურჩნალში, ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი შეფასებულია ლიბერალურად. ასეთივე მდგომარეობაა VII კლასშიც, სადაც იგივე მასწავლებლები (ძირითადი და მისი შემცველი) ასწავლიან.

VI კლასი, ალგებრა (მასშტ. ნათელა ვეშაგურიძე) გაქვეთილს 10 მოსწავლიდან ესწრება 8. მიმღინარეობს ვარჯიში მაგალითებზე (ორი წერის ჯამისა და სხვაობის კუბი). გაქვეთილი საერთოდ დამაკმაყოფილებელია. მისი ზოგიერთი ხარვეზია: მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ზეპირ ანგარიშს; მოსწავლეებს დავიწყებული აქვთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გავლი-

ლი მასალიდან (მაგ. რიცხვის აბსოლუტური სიდიდე და სხვ.). და-
მოუკიდებელი სამუშაო მოსწავლეებს გაუქნელდათ. ადგილი აქვს
მცირეოდენ ჩამორჩენას პროგრამის გავლაში. როგორც ამ კლასში,
ისევე V კლასში, სადაც იგივე მასწავლებელი ასწავლის, საკონტ-
როლო წერის ნორმები და ომატიკა დაცულია. დამაკმაყოფილე-
ბელია გასწორების ხარისხი. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიეცეს
საწერი მასალის შერჩევას.

IV კლასი, არით მეტიკა (მასწ. ილია ხუბეჯაშვილი).
გაკვეთილის თემაა დროის საზომები და დროის გაზომვა. მიმდინა-
რეობს ვარჯიში ამოცანებზე. გაკვეთილი ძირითადად ნორმალუ-
რად წარიმართა. მისი ნაკლოვანი მხარეები: მასწავლებელი ხან
ამოცანის მთლიან ტექსტს წერს დაფაზე და ამაზე ბევრ დროს
ხარჯავს, ხან კი სრულიად ზედმეტად თვლის მოკლე ჩანაწერების
გაკეთებასაც კი. მოსწავლეები ვერ ფლობენ საზომთა მეტრული
სისტემას. საკონტროლო წერების ნორმები დაცულია.

II კლასი, არით მეტიკა (მასწ. ვლადიმერ ბაგაური).
მიმდინარეობს ვარჯიში 2—3-მოქმედებიანი მაგალითების ამოხსნა-
ზე. მოსწავლეები კარგად ართმევენ თავს ამ ამოცანას. ისინი და-
მაკმაყოფილებლად ერკვევიან განვლილ მასალაშიც. მნიშვნელოვა-
ნი ყურადღება ექცევა ზეპირი ანგარიშის ჩვევების გამომუშავე-
ბას. გამოძახებული მოსწავლე ადვილად სძლევს ჩვენ მიცე-
მულ ამოცანას (ერთეულზე დაყანის ხერხი). შემჩნეული ხარვეზები:
მოსწავლეებს უჭირთ მანძილის თვალდათვალ შეფასება, არ იციან
საზომთა მეტრული სისტემა, უჭირთ საათის მიხედვით დროის გა-
მოცნობა. საკონტროლო წერები ჩატარებულია (გარდა I მეოთხე-
დისა), ნორმები დაცულია. ნაწერები დამაკმაყოფილებელია.

ფორმალურ ხასიათს ატარებს ამ სკოლაში მოსწავლეთა საწ-
რეუ მუშაობა მათემატიკაში. გეგმა სულ ითვალისწინებს ორ სა-
კითხს; ამათგან მოსმენილია ერთი ერთი მოხსენება, რომელიც საგ-
ნის მასწავლებელს არ აქვს წაკითხული. ვერ მოხერხდა ამ მოხსე-
ნების ავტორის კინაობის დადგენაც.

ფიზიკის სწავლება

ახმეტის I საშუალო სკოლაში ფიზიკას ასწავლის
ორი მასწავლებელი ნ. მაისურაძე და ვ. გაგლოვევი. IX კლასში (ვ-
გაგლოვევი) გამოსაკითხი მასალა იყო „აორთქლება“, ასახსრელი თე-
მა „გამაჯურებელი ორთქლის თვისებები“. დაფასთან გამოძახებული

მოსწავლე „კვება“ ორთქლების პროცესის, სითხისა და ორთქლის
დინამიურ წონასწორობის შესახებ. თხრობა გაჭიანურებული და
უინტერესოა, კლასი სრულიად პასიურია, მასწავლებელი კულტურული
ექითხება ამა თუ იმ სიღიღის განსაზღვრას. როცა გამოძახებული
მოსწავლე ამ განსაზღვრას არ იძლევა ზუსტად, განსაზღვრას იმე-
ორებენ რამოდენჯერმე, რაც დაზეპირების შთაბეჭდილებას ჰქმინის.
გავლილი მასალის გამეორება დაყვანილია მხოლოდ კანონების ზე-
პირად გამეორებაზე, სიღიღით შორის ფუნქციონალურ დამოკი-
დებულებათა ღრმა ანალიზის გარეშე, შეკითხვები ეხება ამა თუ იმ
კანონის ზეპირად თქმას და არ ითვალისწინებს რაიმე ფიზიკური
მოვლენის ანალიზს. წლევანდელი IX კლასის პროგრამა ფიზიკაში
მეტად ვრცელი და საინტერესოა; ისეთი მოდუნებული, დაქსაქსუ-
ლი და არ შრომატევადი გაკვეთილები, როგორიც მასწ. გაგლოვს
ჰქონდა, ვერ უზრუნველყოფს ამ მასალის შეგნებულად ათვისებას.
გაგლოვის მიერ VII კლასში ჩატარებული გაკვეთილი კიდევ უფრო
მოდუნებული და უინტერესო იყო. გაძახებული მოწაფე ორთქლის
მანქანის მოდელზე ასახელებდა მანქანის ნაწილებს. მათი დანიშნუ-
ლების ცოდნის და მანქანის მუშაობის პრინციპის შეგნებულად გა-
გების გარეშე. საშინაო დავალების რვეულები მოსწავლეებს მოუ-
წესრიგებელი აქვთ, მასში არ ჩანს ამოცანებზე მუშაობის ჩვევები.

XI კლასში (მასწ. ნ. მაისურაძე) მოსწავლეები ძირითადად
კარგად ერკვევიან ფიზიკურ მოვლენებში. სწორად იძლევიან ფიზი-
კურ სიღიღით განსაზღვრებებს, კარგად ერკვევიან სიღიღით შო-
რის ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში. მოსწავლეებს სისტემა-
ტურად ეძლევათ დავალება ამოცანების ამოსხნაზე, X კლასში მაი-
სურაძის მიერ ახსნილი იყო ისეთი ახალი და ჯერ მეთოდურად
დაუმუშავებელი საკითხი, როგორიცაა ნახევარგამტარები. მიუხე-
დავად ამ მასალაზე ლიტერატურის სიმკირისია, მაისურაძის მიერ
ეს თემა კარგად იქნა გაშუქებული. იგი გასაგებად და ფიზიკურ
ცნებათა ზუსტი განსაზღვრით ხსნის ახალ მასალას. მოსწავლეთა
მიერ ახალი მასალა გაკვეთილზევე იქნა ათვისებული. მასწავლებე-
ლი გაკვეთილის განმავლობაში ყურადღებას აქცივდა მოსწავლეთა
სწორ მეტყველებას და ინტონაციას.

ახმეტის 1 საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტში პროგრამით
გათვალისწინებული ყველა დემონსტრაციისათვის საჭირო ხელსაწ-
ყოა. სავალდებულო ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება კი

ვერ ხერხდება, რადგან ხელსაწყოთა უმრავლესობა თითო ან რამო-
დენიმე ცალი აქვთ.

მაისურაძე ხელმძღვანელობს ფიზიკის წრეს. წრეში უფრო მეტად მეტად
ტად დამუშავებული აქვთ თეორიული საკითხები, ან საკითხები ფი-
ზიკის სტორიდან. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში კარგი სა-
ხელოსნოა, ნაკლებად იყენებენ თვითნაკეთ ხელსაწყოთა დასამზა-
დებლად.

საჭიროა კაბინეტის შეესება ლაბორატორიული სამუშაოების
ჩატარების უზრუნველსაყოფად და ფიზიკის წრეში ტექნიკური სა-
ხის სამუშაოების გათვალისწინებაც, ექსპერიმენტალური იმოცანე-
ბის მიცემა და მარტივ ხელსაწყოთა მოდელირება.

მატნის საშუალო სკოლაში ფიზიკას ასწავლის სა-
მი მასწავლებელი ზ. ძულიაშვილი, ვ. ბაბაკიშვილი და ს. დეკანო-
ზიშვილი. IX კლასში (მასწ. ძულიაშვილი) მასალა უკვე გავლილი
იყო და მიმდინარეობდა გამეორება. გასამეორებლად მიცემული
პერიოდი ისეთი ბატარა მასალა — ნიუტონის III კანონი, რაც ჩვეუ-
ლებრივად გაკვეთილზეც შეიძლება მიეცეს. გამეორების დროს მოს-
წავლეთა ყურადღება გამახვილებულია კანონებისა და სიდიდეთა
განსაზღვრების ზეპირად ცოდნაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ძუ-
ლიაშვილი გასამეორებელ მასალასთან დაკავშირებით იხილავდა
ცხოვრებიდან ისეთ მაგალითებს, რომელიც უფრო ნაცნობია და
საინტერესო მოსწავლეებისათვის.

გაკვეთილზე დემონსტრირებული იყო ქმედებისა და უკუქმე-
დების ტოლობა დინამომეტრების საშუალებით. მიუხედავად იმისა,
რომ ამოცანების ამოხსნისათვის მეტად ხელსაყრელ მასალას იმე-
ორებდა IX კლასი, გაკვეთილზე არ ამოხსნილა არც ერთი ამოცა-
ნა. საჭიროა ძულიაშვილმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამოცანე-
ბის ამოხსნას, რაიმე მოვლენის ახსნის დროს ზუსტი მათემატიკუ-
რი აპარატის გამოყენებას და განსაზღვრებების მიცემის დროს მე-
ტი სიზუსტის დაცვას. X კლასში დეკანოზიშვილის მიერ ახსნილი
იყო „მაგნიტური ინდუქცია და ნაკადი“. მასწავლებლის ახსნას
აკლდა სიმკვეთორე და გარკვეულობა, გავლილი მასალის გასამეო-
რებლად კლასში ფრონტალურ კითხვებზე ბავშვების პასუხმა დაგ-
ვარწმუნა, რომ კლასმა მასალა ძირითადად დამაკმაყოფილებლად
იცის. ერკვევიან ელექტრულ და მაგნიტურ მოვლენებში. ამ მოვ-
ლენებს ხსნას ელექტრონული თეორიით, იციან ელექტრულ და

მაგნიტურ მოელენათა დამახასიათებელ სიდიდეთა ერთეულები
სხვადასხვა სისტემაში.

საქართო საჭიროა სიდიდეთა ერთეულების დასტავლა ძობ-
დეს ამოცანების ამოხსნის საშუალებით და არა ზეპირად, უმიზნოდ,

მათი მრავალგზის გამეორებით. დეკანოზიშვილის მიერ ჩატარებულ
გაკვეთილზე კი არცერთი ამოცანა არ ამოხსნილა. ერთგვაროვანი
და არაერთგვაროვანი მაგნიტური ველი დეკანოზიშვილმა მოსწავ-
ლებს აჩვენა რეინის ნაჯლიბით მაგნიტური სპექტრის მიღებით.
შეიმჩნეოდა, რომ დეკანოზიშვილი სასკოლო სადემონსტრაციო
ცდებს თავისუფლად ფლობს. VI, VII და VIII კლასებში ფიზიკას
ასტავლის ვ. ბაბაკიშვილი. ბაბაკიშვილის მოსწავლეებთან დამოკი-
დებულება, საუბრის ტონი, გაკვეთილის ორგანიზაცია, გვაფიქრე-
ბინებს, რომ იგი შესაფერისია ფიზიკის დაბალ კლასებში სწავლე-
ბისათვის. გაკვეთილზე ბაბაკიშვილი თავისუფლად ათავსებს მოს-
წავლის თეორიულ მომზადებისა და ცდის ჩატარებისას პრაქტიკუ-
ლი ჩვევების შემოწმებას. გაძახებულმა მოსწავლემ სხეულის კუთრი
წონის განმარტებასთან ერთად გაზომა ხის ნაჭრის კუთრი წონა.
ფრონტალურ კითხვებზე პასუხებით ნათელი გახდა, რომ მოსწავ-
ლები კარგად ერკევეთ მოცულობის, წონის, სიგრძისა და კუთ-
რი წონის ერთეულებში. გასამეორებელი მასალის გამოკითხვის
დროს მოსწავლებმა ალადგინეს ყველა ის ცდა, რომელიც ჩატა-
რებულ იქნა ამ მასალის სწავლების დროს. გაკვეთილზე გარჩეული
იქნა სავარჯიშოში მოცემული ყველა ამოცანა. ბავშვები ამოცანებს
თავისუფლად ხსნიდნენ.

შევამოწმეთ ლაბორატორიული სამუშაოების რვეულები და
აღმოჩნდა რომ VI, VII და VIII კლასებში პროგრამით გათვალის-
წინებული ყველა ლაბორატორიული სამუშაო ჩატარებულია და მა-
თი ჩანაწერები რვეულებში შეფასებულია ნიშნით.

ბაბაკიშვილი ხელმძღვანელობს სახალისო ფიზიკის წრეს. წრის
წევრების მიერ სახალისო ფიზიკიდან დამუშავებული იყო მათი ასა-
კისათვის შესაფერისი საკითხები.

ვალერიან ბაბაკიშვილი სისტემატურად კითხულობს მეთო-
დურ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს მის პედაგოგიურ დახე-
ლოვნებას.

ფიზიკონის რვაწლიან სკოლაში შევამოწმეთ პე-
დაგოგი ვეშაგურიძის მუშაობა. მეორე მასწავლებელი გაგზავნილი
იყო დახელოვნების კურსებზე. 6. ვეშაგურიძე დამწყები მასწავლე-
72

ბელია, სწავლობს თელავის პედ. ინსტიტუტის დაუსწრებელ გან-
ყოფილებაზე.

VI კლასში ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე მოსწავლეთა უმრავ-
ლესობა პასუხობდა სწორად. შეკითხვაზე, თუ როგორ შეიძლება
განისაზღვროს ცარცის ხვედრითი წონა, მოსწავლეებმა გვიპასუხეს
სწორად და მესახერებაში აღადგინეს ის ცდაც, რომელიც ჩატა-
რეს კლასში ნივთიერების ხვედრითი წონის განსაზღვრისათვის.

ფიჩხოვანის რვაწლიანი სკოლის გამოსაშვებ კლასში მოსწავ-
ლები ვერ ერკვევიან მარტივ ფიზიკურ მოვლენებში, არ იციან ფი-
ზიკურ სიდიდეთა არც განსაზღვრა და არც საზომი ერთეულები.
მთელი წლის განმავლობაში არ ჩაუტარებიათ არცერთი ლაბორა-
ტორიული სამუშაო და არ ამოუხსნიათ ამოცანები. VII კლასში
შემცვლელმა მასწავლებელმა ი. ქაშიძაძემ ისე ჩატარა ფიზიკში
გაკვეთილი, რომ არც ერთხელ არ გამოუყენებია დაფა და ცარცი.
არ უჩვენებია მოსწავლეებისათვის ორთქლის შანქანისა და შიდა
წვის ძრავის მოდელები. ეს მოდელები კი ვნახეთ ხელუხლებელი,
დამტვერილი ფიზიკის კაბინეტში. ქაშიძაძის მომზადება შეუფერე-
ბელია მასწავლებლისათვის, დაუშვებელია მისი პედაგოგიდ მუშა-
ობა.

ოუიოს საშუალო სკოლაში ლ. მალვინიშვილის მუ-
შაობა.

IX კლასში მხოლოდ გამეორებაა, მასალა უკვე დამთავრებუ-
ლია. მიუხედავად ამისა, გაკვეთილი მაინც კომბინირებულია. გაკ-
ვეთილის ნახევარზე მეტი ეთმობა დაფასთან გაძახებული ორი მოს-
წავლის გამოყითხვას. მეორე გაძახებული მოსწავლე ზუსტად პირ-
ველი მოსწავლის მიერ „მოყოლილ“ გაკვეთილს იმეორებს, რაც
დაუშვებელია გამეორების გაკვეთილზე. ოეიოს საშ. სკოლის გამო-
საშვებ კლასში ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ მოს-
წავლეთა უმრავლესობამ პროგრამით გათვალისწინებული მასალა
იცის დამაკაყოფილებლად.

ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობა საშუალებას იძლევა ჩატარ-
დეს სადემონსტრაციო ცდები. ყველა სავალდებულო, ლაბორატო-
რიული სამუშაო არ ტარდება. საშინაო დავალების რვეულებში
მოსწავლეებს ამოხსნილი ჰქონდათ სავარჯიშოებში მოცემული ყვე-
ლო ამოცანა.

ჩვენ მიერ შემოწმებულ არც ერთი სკოლის ბიბლიოთეკაში
არ იყო ისეთი სავალდებულო მეთოდური ქურნალი, როგორიცაა

„ფიზიკა სკოლაში“. არც ერთ სკოლაში არ ტარდება საკონტროლო წერითი სამუშაოები ფიზიკაში, რაც რეკომენდებულია, როგორც ცოდნის შემოწმების საშუალება. გაკვეთოლებული ფორმა მოძველებულია, არც ერთი მასწავლებელი არ ცდილობს რაიმე სიახლე შეიტანოს გაკვეთილის ორგანიზაციაში, არ იცნობს გაკვეთილზე მოსწავლეთა ძეტივიზაციის ახალ მეთოდებს.

შემოწებით გამოირკვა, რომ ქიმიას ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები ასწავლიან.

გატარებულია ერთგვარი ლონისძიებები ქიმიის კაბინეტების მოსაწყობად.

ამეტების I საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ვ. ეჯიბაძე პასუხისმგებლობით ეკიდება საგნის სწავლებას, სისტემატურად ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებისას მიზანშეწონილად იყენებს კაბინეტს. მოსწავლეთათვის გასაგებად ხსნის ახალ მასალას და იყენებს ოვალსაჩინოებას. IX კლასის მოსწავლეები გამართულად წერენ ქიმიურ რეაქციათა ტრლობებს, იციან მეტალთა ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გოგირდმეავა და მისი მარილების გამოყენება სახალხო მუჟნეობაში და სხვ. ახალი მასალა „აზოტ-მეავა, მისი ფანგვითი თვისებები“ მოსწავლეთათვის გასაგებად ახსნა და ჩატარა სადემონსტრაციო ცდა. XI კლასის მოსწავლეებმა განვლილი მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამტებულია.

Х კლასში ბასწავლებელი ე. იარაჯული პირველი წელია ას-
წავლის ქიმიას, ამ კლასში მოსწავლეთა ცოდნა არ არის ცუდი,
მაგრამ მასწავლებელმა ბევრი უნდა იმუშაოს, რომ მომავალში უკე-
თხეად დააყრნოს საგნის სწავლება.

მატანის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწ. ნ. ტურაშვილი) მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იციან განვლილი მასალა კალ-ციუმი და მისი შენაერთები, აზოტის უანგი და ორეანგის თვისებები, ელემენტების პერიოდული სისტემა ატომთა აღნაგობის თეორიის მიხედვით, გლუკოზა, მისი აღნაგობა, თვისებები და გიმ-ყინება.

VII კლასის მოსწავლებმა (მასწავლებელი გ. ხოხოძაშვილი) იციან ნივთიერებები დი მათი გარდაქმნები, დაშლისა და შეერთების რეაქციები, ქიმიური ფორმულები, ქიმიურ რეაქციათა ტოლო-

ბები, უანგბალის მიღება და თვისებები. ახალი მასალა „ნეიტრალიზაციის რეაქცია“. ახსნა გასაგებად და ჩაატარა სადემონსტრაციო ცდები ნეიტრალიზაციის რეაქციებზე.

სკოლაში ქიმიის კაბინეტი ძირითადად მოწყობილია, მაგრამ საქმაო რაოდენობით არ აქვთ რეაქტივები, ჭურჭელი, ხელსაწყო-იარაღები და სხვა.

სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ ქიმიაში ფიჩოვანის რეაქტუანი სკოლის მოსწავლეები (მასშტ. თ. ვაშაკაშვილი, ბიოლოგია წელს პირველად ასწავლის ქიმიას). მასწავლებელი თვითონ ვერ ერკვევა საბროგრამო საკითხებზი. VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქიმიური ნიშნების წერა, დაშლისა და შეერთების რეაქცია, ვალენტობა და სხვა.

VIII კლასის მოსწავლეები ვერ წერენ ქიმიურ რეაქციათა ტოლობებს, არ იციან მჟავეების, მარილების შედგენილობა, სახელწოდება და სხვა. მასწავლებელი ვერ ახერხებს მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას.

საგნის მასწავლებელი (ივივე სასჭ. ნაწილის გამგე) და სკოლის დირექტორი არ ზრუნავენ ქიმიაში კლასებინეტის მოწყობი-სათვის, ამიტომ ქიმიი ისწავლება ზეპირსიტყვიერად.

ოჯიოს საშუალო სკოლაში ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების ყველა ხელსაწყო-იარაღები. მოთავსებულია ახლად გამოყოფილი ქიმიის კაბინეტის ოთახში, რომელაც დაულაგებელი და მოუწესრიგებელია.

შემოწმებულ სკოლებში ადგილი აქვს საათების დაქუცმაცების შემთხვევებს. მატნის საშუალო სკოლაში ქიმიის 28 საათი განაწილებულია სამ მასწავლებელზე.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ისტორიაში მატნის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ა. ვარდოშვილი) არ იციან ძველი მსოფლიო ისტორიიდან ელემენტარული საკითხები. მათ წარმოდგენა არ აქვთ პირველყოფილი აღმიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, არ ესმით კლასობრივი საზოგადოების კლასობრივი არსი. არ იციან ეგვიპტის ბუნება, ძველი დროის ეგვიპტელების საქმიანობა, რევოლუცია ძველ ეგვიპტეში, ძველი ეგვიპტის ომები, ძველი ეგვიპტის კულტურა; ბაბილონეთის სამეფო, მეფე ჰამურაბის კანონები, მათი მონათმფლობელური არსი, ძველი ინდოეთი, ჩინეთის ბუნება, მოსახლეობა, მოსაქმეობა. ასევე არ იციან ძველი საბერძნეთის, ძველი რომის შესახებ

პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. მასწავლებელს უჭირს გაყვეთილზე დისციპლინის დაცვა.

ასევე სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს VIII კლასის მოსწავლის ლექციაში (მასწ. დ. ნონიაშვილი). მათ არა აქვთ ზუსტი წარმოდგენა სახელმწიფოს წარმოშობაზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე, ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობასა და სხვ. ზოგიერთ ისტორიულ ცნებას მასწავლებელი არაზუსტად გადასცემს. მასწავლებლის მეტყველება არ არის მოსაწონი.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ახმეტის პირველი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწ. მ. ბურჯანაძე).

დამაკამაყოფილებლად ისწავლება ისტორია სოფ. ფოჩხოვანის 8-წლიან სკოლაში. საგნის მასწავლებელი, სკოლის დირექტორი ე. ხუბეჯაშვილი.

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მოსწავლეებმა გეოგრაფიაში ფოჩხოვანის 8-წლიან სკოლაში. აქ გეოგრაფიას ასწავლის მ. ბურჯაშვილი, რომელიც არ არის გეოგრაფიის სპეციალისტი და არ შეუძლია ამ საგნის სწავლება.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეოგრაფიაში მატ-ნის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი თ. ხოხობაშვილი).

შემოწმებულ სკოლებში არა მოწყობილი გეოგრაფიის მოედნები და არ სრულდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ახმეტის რაიონის საშუალო სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უცხო ენების სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით. რაიონის საშუალო სკოლებში ისწავლება ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენები; ასე, რომ შედარებით დაცულია სამივე უცხო ენის სწავლების პროცენტული შეფარდება.

რაც შეეხება 8-წლიან სკოლებს, მდგომარეობა მეტად სავალოა; თითქმის არცერთ 8-წლიან სკოლის არ ჰყავს ამ, საგნის სპეციალისტი. გერმანული ენა ისწავლება კველა სკოლაში; მაგრამ ამ საგნის სწავლება მინდობილი აქვთ სსვა საგნის მასწავლებლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს.

ახმეტის I-ლ საშუალო სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის 3 უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელი, ორი მათგანი (ც. ამა-

შუკელი, და ლ. ოოსებაშვილი) დამწყები მასწავლებლებია; ისინი დიდი მონდომებით მუშაობენ და კეთილსინდისიერად ასრულებდნ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

კარგი მომზადება გამოავლინეს ამ სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ზ. ოგანეზოვა). სკოლაში V—VIII კლასები იყოფა ორ ჯგუფად, ამ ჯგუფებთან ცალ-ცალქე მიმდინარეობს მეცადინეობა; ამიტომაა, რომ ამ კლასების მომზადება გერმანულ ენაზი დამაკმაყოფილებელია. განვლილი მასალის სუსტი მომზადება გამოავლინეს აწყურის საშუალო სკოლის (მასწავლებელი: ე. კილაძე) და ოფიციალური საშუალო სკოლის (მასწავლებელი გ. მეზერიშვილი) XI კლასის მოსწავლეებმა; ისინი სუსტად კითხულობენ ტექსტებს, უჭირთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, ღარიბია მათი სიტყვა-თა მარაგი; თვით მასწავლებლებიც ამ კლასში ერთფეროვან მუშაობას ატარებენ; იფარებულებიან მხოლოდ ტექსტების კითხვით და თარგმანით; არ ტარდება ტექსტების ლექსიკური ანალიზი და ვარ-ჯიში ზეპირ მეტყველებაში.

შემოწმებული სკოლების ყველა მასწავლებელს შესრულებრივი აქვს საკონტროლო წერითი ნამუშევრების ნორმები; მაგრამ უმრავ-ლესობას წერის სახე არ აქვს დაცული და მოსწავლეების კალიგ-რაფია ძალზე დაბალია.

რაიონის პედაგანეტთან არის შექმნილი უცხო ენების სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ც. ამაშუკელი; სექცია დამაკმაყოფი-ლებლად მუშაობს.

მატნის საშუალო (დირექტორი გ. ნაროზაული) და ფოჩხოვა-ნის რვაწლიან სკოლებში (დირექტორი ე. ხუბეჯაშვილი) პედაგო-გიურად და მეთოდურად არასწორად არის შედგენილი გაკვეთი-ლების ცხრილი. წლიურ სამუშაო გეგმებში საკითხები ფორმული-რებული არ არის კონკრეტულად. არაა გათვალისწინებული ცალ-კმული საგნების სწავლების შემოწმება.

ასევე არაა გათვალისწინებული ცალკეულ საგნებში საპროგ-რამო მასალის გავლისა და ათვისების ხარისხის შემოწმება.

სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სრულყოფილად ვერ ხელმძღვანელობენ მასწავლებელთა მუშაობას, არ იძლევიან მოსმენილი გაკვეთილების მეცნიერულ, იდეურ და მე-თოდურ ანალიზს, ისინი მხოლოდ გაკვეთილის მსვლელობის ფიქ-საციით კმაყოფილდებიან. სრულიად არ ესწრებიან საკონტროლო

წერის გაკვეთილებს, არ აწარმოებენ მოულოდნელი საკონტროლო
წერების ჩატარებას, სწორედ ამითაც უნდა აიხსნას მოსწავლეთა
წერითი კულტურის მოუთმენლად დაბალი დონე.

დიდია მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავ-
ლეთა რაოდენობა. მარტო მატნის საშუალო სკოლაში 112 მეორე-
წლიანი მოსწავლეა.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელობა არ ღებულობს საჭირო
ზომებს საყოველთაო საეთალდებულო რეაწლიანი განათლების კანო-
ნის განხორციელებისათვის. მატნის საშუალო სკოლიდან განთესი-
ლია 7 მოსწავლე, ფიჩხოვანის რეაწლიანი სკოლიდან კი 3. ფიჩხო-
ვანის რეაწლიან სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საკ-
ლასო ურნალების წარმოებას. არ არის შეტანილი დამუშავებული
მასალა. ადგილი აქვს ნიშნების ამოშლისა და გადასწორების შემ-
თვევებს.

მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების გასუ-
ლი წლის აღრიცხვის ურნალებში (ფიჩხოვანის რეაწლიანი და მა-
ტნის საშუალო სკოლები) არ არის შეტანილი საზაფხულო და სა-
შემოდგომო გამოცდების შედეგები. ფიჩხოვანის რეაწლიან სკოლა-
ში კლასიდან კლასში გადაყვანა არ ჰქონის დადასტურებული სკო-
ლის დირექტორის ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით.

კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ზოგადია. შედგენი-
ლია; ნაჩქარევად და კლასის სპეციფიურობის გაუთვალისწინებ-
ლად.

მასწავლებელთა პირადი საქმეები ძირითადად მოწესრიგებუ-
ლია ახმეტის პირველი, მატნისა და ოჯიოს საშუალო სკოლებში,
ხოლო ფიჩხოვანის რეაწლიანი სკოლის 16 მასწავლებლიდან 6 მას-
წავლებელს არა აქვს განათლება (ცენზის) ცნობა, ხოლო რამდენი-
მე მასწავლებელს კი ბრძანება სამუშაოზე დანიშვნის შესახეა.

რეა კლასის დამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათ-
ლების ატესტატების გაცემის წიგნების წარმოება ძირითადად მო-
წესრიგებულია. მხოლოდ მატნის საშუალო სკოლაში შევსებულია
და გაუცემელია 12 მოსწავლის რეაკლასის დამთავრების მოწმობა.
ასევე გაუცემელია საშუალო განათლების ერთი ცალი ატესტატი
№ 034459 მოსწავლე ჭიჭიაშვილზე. გაცემულ № 034439 ატესტატ-
ზე არ არის მოსწავლე გოდერიძიშვილის ხელმოწერა.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწევებულია იმით, რომ სკოლე-

ბის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სათანადო
კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ ანხორციელებენ მასწავლებელთა უფლებების
ლების და კლასის ხელმძღვანელების მუშაობაზე.



ბრიგადის ხელმძღვანელი
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სასკოლო ინსპექტორი შ. ლომიძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965
 წლის 22 ივნისის ბრძანება № 695

ქ. თბილისის სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების
 მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. თბილისის სკოლებთან არსებული ლოგოპე-
 დიური პუნქტების მუშაობის შედეგებს, აღნიშნავ, რომ რიგი სკო-
 ლები ამ საქმეს კარგად ართმევენ თავს და ბევრი ლოგოპედი კე-
 თილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სკო-
 ლებში მოწყობილია ლოგოპედიური კაბინეტები საჭირო დიდაქტი-
 კური მასალით და სისტემატიურად მუშაობენ ენამოშლილ მოსწავ-
 ლებთან. მიმდინარე 1964—65 სასწავლო წლის დასაწყისში აღ-
 რიცხული 1270 ენამოშლილი მოსწავლიდან მეტყველება გამოუს-
 წორდა 1090 მოსწავლეს. კარგი წარმატებები აქვთ ლოგოპედებს:
 თ. ფერაძეს (I-ლი სკოლა), ნ. გრიგოლიას (მე-7 სკოლა), შ. ლორ-
 თქიფანიძეს (23-ე სკოლა), მ. კვაჭაძეს (30-ე სკოლა), ა. მგალობ-
 ლიშვილს (67-ე სკოლა), ო. იოსელიანს (72-ე სკოლა), ა. იშხნელს
 (87-ე სკოლა), გ. აქირთავას (89-ე სკოლა), ე. კიზირიას (126-ე სკოლა), მ. რუხაძეს (I-ლი გახანგრძლივებული დღის სკოლა).

დამაჯმაყოფილებლად მუშაობს ქ. თბილისის ლოგოპედების სარაიონთაშორისო მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი თ. ფერაძე).

მიუხედავად ამისა ლოგოპედიური პუნქტების მუშაობაში აღ-
 გილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. რიგ პუნქტებს ჯერ კიდევ
 არ გააჩნიათ სამუშაო ოთახები, საჭირო ხელსაწყოები, თვალსაჩი-
 ნო მასალა. ლოგოპედიური პუნქტი შექვედლებულია ექიმის კაბინე-
 ტებსა და ბიბლიოთეკებში (მე-4, მე-12, მე-17, მე-18, მე-20, 29-ე,
 31-ე, 47-ე, 53-ე, 58-ე, მე-60, 62-ე, 68-ე, 96-ე, 112-ე სკოლა). რიგ სკო-
 ლებში, სადაც ლოგოპედიური პუნქტებისათვის გამოყოფილია სა-
 მუშაო ოთახები, ისინი მოუწყობელია, არა აქვთ საჭირო თვალსა-

Քոնցեած լա եղլսա՛՛յոյեծ (ճ. մամացոյնշվուլո, 54-ը Տյուլա, յ. Ցո-
ցոլածյ, 55-ը Տյուլա).

Ցոցոյրու Տյուլանի թոմութաց լոցոքեցու մեցագունդունակ Առաջա-
ստանագունդ զեր ոյցենց Ցայսարչուն մետողուս დա գուգայիւր մա-
սալաս Տա՛յոյեծ (թ. ածրամուց—64-ը Տյուլա, հ. Ծոշորունշվուլո—
96-ը Տա՛յալու Տյուլա, գ. ածրամուց—83-ը Տա՛յալու Տյուլա). 68-ը,
69-ը Տա՛յալու Տյուլանի (հոստուլ-յարտուլո) լոցոքեցունրու პանք-
քու զեր յմսասերեծ հոստուլ 69-ը Տա՛յալու Տյուլաս օմու շամո,
հոմ լոցոքեցու թ. ցոցոյնշվուլու զեր ցոլուս հոստուլ յնաս.

Ամաստանաց արուան լոցոքեցու հոմելուաց Տյուլանի արա
պյուտ Ցայմնունու Տատանագունդ Յուրուեցու, Ցայմալունց արուան Տեցա
յածունց-ուուեցուն, մաշրամ թութանց հա մոնդումեցու, ալթյան
յարց Ցելուեց ց. յնամունու մուժավալուեցու մերիպաւուեցու շամուսիո-
ւուեցու Տայմեցու. այցուեցուա: ա. յելունցունու (թ-4 Տյուլա), թ. Շապա-
հուանու (47-ը Տյուլա), ա. օնանշվուլու (53-ը Տյուլա), յ. պուտունու (թ-60
Տյուլա), լ. յուրուուցու (66-ը Տյուլա).

Յ ծ հ ա ն ց ծ

1. յ. տօնուսուս Տայմալու Տայմալու ալմաՏյուլուս շամուս ալմաՏյուլուս
շանցունցունց ամե. թ. յացու) շնչունցուլուս թ-4, թ-12, թ-17,
թ-18, թ-20, 29-ը, 31-ը, 47-ը, 53-ը, 58-ը, թ-60, 62-ը, 68-ը, 96-ը,
112-ը Տյուլանի Տատանագունդ մովունցունու Տամութան ուուեցուու լո-
ցոքեցուուսատցուս.

2. Ծայցալուս մասիավալուեցու ճայցելունց օնս թունց ամե. -
թ. Ցանանցուն) մոամիսագուն ճասանցունց Տայմուն ճոյամունց թաւու
լոցոքեցունրու պանքեցուսատցուս. շանցունցուս Տամոնուս տրուու
հացուսա դա ճամեմարց Տայմարուտա Տամմարուցուլում (ամե. և. արց-
լածյ) շնչունցուլուս ամ ճոյամունց թաւուս ճածունցու.

3. Թամահացեցուլ յինաս լոցոքեցունրու պանքեցու Տայմուն օն-
ցունց թարուտա դա ուցալսահինու Տասիավալու եղլսա՛յոյեծու լունց թարու-
նցուլու լիյսու.

4. Տաելումլանցանցույցուս շանցունցունց ամ (թ. Ծայցալածյ) Ցե-
ունուս Տացամունց յացման լիցնու լիցնու Տաելումլանցանցու լոցոք-
եցունրու թութանցուսատցուս Տյուլանի (այցուուցու: յ. օվալու յացու, թ.
յուրածյ, ա. օնանշվուլու, թ. յուրուուցու).

5. լոցոքեցունրու թութանցունի ճայցելունց օնս դա շամուսիու-

ბების გაზიარების მიზნით მივლინებულ იქნან მოწინავე ლოგოტი-
დები მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) გადასცნდას
ლოგოპედიური პუნქტების ქსელი და მოახდინოს ამ პუნქტების გა-
დაჯგუფება საჭიროების მიხედვით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965
წლის 28 ივნისის ბრძანება № 715

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავის პლიური
შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1965 წლის ოქტომბერში სრულ-
დება 125 წელი დიდი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწი-
სა და სახავშეო მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან,
ვგ რძანებ

1. შეიქმნას იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავის
ჩატარებელი საიუბილეო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. ბო-
ცვაძე, ი. ბერიძაშვილი, ა. გომიაშვილი, ნ. გურგენიძე, თ. ლაშ-
ქარაშვილი (თავმჯდომარე), დ. ლორთქიფანიძე, ლ. მალლაფერიძე,
უ. ობოლიძე, გ. საჯაია, გ. ფოფხაძე, ვ. ქაჯაია, ნ. შველიძე (მდი-
ვანი), ა. ჩხეიძე, დ. ჯავახია, ი. ჯამბრიშვილი.

კომისიამ ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს განათლების
სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად საიუბილეო თარიღთან
დაკავშირებულ ღონისძიებათა ჩატარების გეგმა.

2. ჩატარდეს საიუბილეო საღამოები ქ. თბილისში, ქ. გორ-
ში და ი. გოგებაშვილის სამშობლოში—სოფელ ვარიანში.

3. მოეწყოს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დილები
და საღამოები რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სა-
ბავშეო სახლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლე-
სი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტე-
ტის თავმჯდომარეს ამს. გ. ჯიბლაძეს, რათა საიუბილეო თარიღ-
თან დაკავშირებით ჩატარდეს საიუბილეო სესიები რესპუბლიკის
უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებსა და თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში.

5. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას“ საიუბილეო თარი-
ღისათვის გამოსცეს 1965 წლის საგამომცემლო გეგმით გათვალის-

წინებული და წარმოებისათვის გადაცემული ო. გოგებაშვილი მა-
წარმოებთა ბოლო, მე-10 ტომი და გეგმის ზევით ქართული და რუს-
სულ ენებზე—ბროშურა 3—4 სასტამბო თაბახის მოცულობით ო.
გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

6. ეთოვეოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) განიხილოს საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამი-
ნისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტი-
ტუტისათვის და ქ. თბილისის ერთ-ერთი სკოლისათვის იაკობ გო-
გებაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

ბ) დააწესოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ყოველწლიური
ორი პრემია, თითოეული ხუთასი მანეთის ოდენობით, რომელსაც
გასცემს საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება დაჯილ-
დოების წინა წელს პედაგოგიკის მეცნიერების სხვადასხვა დარგში
გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომისათვის და საუკეთესო ორი-
გინალური სასკოლო სახელმძღვანელოს შეღვენისათვის;

გ) დაავალოს ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქა-
ლაქო საბჭოს იღმასკომს, რათა იღნიშნულ თარიღთან დაკავშირე-
ბით ქ. თბილისში საფუძველი ჩაეყაროს ო. გოგებაშვილის ძეგლს,
რომლის აგების შესახებ არსებობს ზემდგომი ორგანოების დადგე-
ნილება.

7. ქურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ და გაზეთმა „სახალხო
განათლებამ“ ფართოდ გააშუქონ ი. გოგებაშვილის დაბადების
125 წლისთავთან დაკავშირებული მასალები და ი. გოგებაშვილის
ცხოვრება და მოღვაწეობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

კოლეგიის 1965 წლის 22 ივნისის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი ო. ლაშვარაშვილი